

# საბავშვო ჟურნალი





# საუბარი ჟურნალის მკითხველებთან.

შეიძლება უფრო რეგულიარული მუშაობის ჩატარება ჟურნალთან. რომელიმე რგოლი ან ჯგუფი, ანდა ჟურნალ-გაზეთში მუშაობის წრე დავალდებს ერთ-ერთ პიონერს ერთი რომელიმე ქვეყნის შესწავლას თვალყურის დევნებას, თუ რა შემთხვევები მოხდება და სხვ. მეორეს--მეორე ქვეყნის შესწავლას, მესამეს დანარჩენი რომელიმე ქვეყნის პიონერების ცხოვრების შესწავლას და სხვა. თვითეული ბავში ან რგოლი რეგულიარულად ინახავს ამონაქერს ჟურნალ-გაზეთებიდან—მისთვის დავალდებული საკითხის შესახებ. ამ ამონაქრებისგან უნდა გაკეთდეს ალბომი სკოლისათვის ან კოლექტივისათვის, ალბომი გაკეთებული უნდა იქნას აგრეთვე პიონერ—მუშაობის ცალკე საკითხების შესახებ (ზაფხული, ბანაკი, მუშაობა ოქტომბრელებთან). მასში უნდა მოვათავსოთ წერილები იმის შესახებ, თუ როგორ დავაყენოთ ხსენებული მუშაობა, ბავშვობის უკეთესი შენიშვნები, რომელიც აგვიწერს ჩატარებულ მუშაობას, სურათები ჟურნალ-გაზეთებიდან. თვითეული ალბომის კანზე უნდა იქნას დაწერილი სათანადო წარწერა. ამრიგად თანდათანობით სკოლაში ან კოლექტივში მოვავროვებთ ალბომების მთელ ბიბლიოთეკას, რომელიც დიდ სარგებლობას მოგვითქვანს ყოველდღიურ მუშაობაში. ამასთან ერთად

კოლექტივში უნდა ჰქონდეთ ჟურნალ-გაზეთების კომპლექტი. ყველაფერი ეს უნდა იყოს მოწყობილი გაზეთის კუთხეში. რომელიც სკოლაში ან კოლექტივში უნდა იყოს. კუთხეში გამოფენილი უნდა იყოს დიდი პლაკატი წარწერით: „გაზეთის კუთხე“ და რამოდენიმე ლოზუნგი. აქვე უნდა იყოს აღნიშნული გაზეთის და ჟურნალის კითხვის წესი. კარგი იქნება დაიხატოს კარიკატურები ისეთ პიონერებზე, რომლებიც სუფთად არ ეპყრობიან ან არ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს. აქვე უნდა იქნას მოთავსებული ალბომები. საჭიროა აქვე იყოს უცხო სიტყვათა ასახსნელი ლექსიკონი, რომლითაც ისარგებლებენ პიონერები, როდესაც ისინი ჟურნალ-გაზეთის კითხვის დროს ვერ გაიგებენ რაიმე სიტყვას. აუცილებლად უნდა შევეცადოთ, რომ კუთხეში იყოს სხვადასხვა ქვეყნების რუკა. სასურველია გლობუსის ქონებაც.

ეს კუთხე უნდა იყოს საუკეთესო აგიტატორი ჟურნალ-გაზეთის მოხმარების დარგში, მით პიონერების დაინტერესების საქმეში.

ჟურნალ-გაზეთებთან მუშაობა კოლექტივში და სკოლაში დიდ სარგებლობას მოგვითქვანს პიონერ-ორგანიზაციის მუშაობის გამოცოცხლების საქმეში, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ ამ ბოლო ხანებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ბრძოლისა და გამარჯვების ათი წელი — გ. ლუარსაშიძის . . . . .	28	2	6. ჩვენი მიხვევები—მ. ნეთიძის . . . . .	15
2. ოქტომბერი—ს. აუსლენდერის . . . . .	3	3	7. აფხაზეთის პიონერები . . . . .	17
3. ოქტომბრის ათი წლის თავზე—ლექსი—გ. სიო- შვილის . . . . .	5	5	8. ჩვენი მტრები . . . . .	19
4. ჩვენი წინაპრები—ს. ერთაწმინდელის . . . . .	6	6	9. რადიო . . . . .	20
5. აფეთქება—პიესა 3 მოქმედებად—ნ. სმირნოვის და ს. შჩერბაკოვის . . . . .	10	10	10. სამხედრო კუთხე . . . . .	23
			11. თამაშობანი . . . . .	24
			12. საუბარი ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან—კანზე.	



329-153 (05)

3-47.



მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

# პ ი ო ნ ე რ ი

1927  
1 ოქტომბერი


განათლების სასკოლო კომისიის სტეფანოვსკის აღმზრდის მთავარმა-  
თვალთმის და საქარტოვოს მ. კ. თ. ცენტრალური მიუტის (საფ. ა. ლ.  
კომპარტიის ცენტრალური) შერჩეული მანუალისათვის

წელიწადი II  
№ 18



ოპორტუნისტების რევოლუციის ბელადი

კ. ლენინი



## ბრძოლისა და გამარჯვების ათი წელი.

ათი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

ათი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთის რევოლუციონურმა პროლეტარიატმა და ღარიბმა გლეხობამ კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით დაამზო კაპიტალისტური საზოგადოება და სახელმწიფოს ნამდვილ მესაქედ მუშები და გლეხები გახდნენ.

ეს მოხდა, როგორც ყოველმა ჩვენგანმა იცის, 1917 წლის 25 ოქტომბერს (ახ. სტილით 7 ნოემბერს). ამის შემდეგ ათმა წელმა განვლო.

ოქტომბრის ათი წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია ჯამი გაუფუტოთ ყველა იმ მიხწევას, რომელიც საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა თავისი დაუღალავი მუშაობით მოიპოვა.

ათი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები (გარეშე და შინაური მტრის მოსპობის შემდეგ) აღმშენებლობითს მუშაობაში არიან ჩაბმულნი; ათი წლის მანძილზე ისინი დაუზოგველად მუშაობდნენ ქვეყნის ასაღორძინებლად და საგრძნობ შედეგებსაც მიახწიეს: აღდგენილ იქნა სამოქალაქო ომების დროს განადგურებული მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა, მიმოსვლის საშუალებანი, გაიყვანეს მრავალი არხი, რომლითაც დაისერა ჩვენი კავშირის თვალგადუწვდენი მინდორ-ველები, აშენდა მრავალი ჰიდრო-სადგური—ვოლხოვსტროი, ზაჰესი და სხვა, ვითარდება სასოფლო მრეწველობა, კოლხერაცია და სხვა.

კულტურული ფრონტი ხელისუფლების განსაკუთრებულ საზრუნავ საგანს შეადგენდა. საბჭოთა კავშირის (კერძოდ კი საქართველოს) ყველა დაბა-

სოფელი დაიქსელა სასწავლებლებით, ქობ-სამკითხველოებით, ბიბლიოთეკებით და სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებებით, რომელთა არსებობა წარმოუდგენელი იყო მეფის და მენშევიკურ საქართველოში.

და ყველაფერი ეს პირველი საფეხურია მომავალი შრომის ქვეყნის—**სოციალიზმის**—შენების.

ბრძოლისა და გამარჯვების ათი წლის თავზე ოქტომბრის რევოლუცია, საბჭოთა კავშირი, მეტად მძიმე საგარეო პირობებში იმყოფება. ჩვენი ყოველი წარმატებითი ნაბიჯი ზრდის ჩვენს სიმტკიცეს და სიძლიერეს, რაც ძილს უფროსობს ჩვენს მოსისხლე კლასიურ მტერს—მსოფლიო ბურჟუაზიას, და მის ლაქიებს—მენშევიკებს.

ამიტომ ემზადებიან ისინი ჩვენს კავშირზე გამოსალაშქრებლად და ყოველ მოხერხებულ დროს შეეცდებიან თავს დაესხან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს და სისხლში ჩაახრჩონ დიადი ოქტომბრის მონაპოვარნი.

ვდღესასწაულობთ რა ბრძოლისა და გამარჯვების ათი წლის თავს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მტერს არ სძინავს; ამიტომ ყოველი ჩვენგანის ამოცანაა—მოსახლეობის გასამხედროებას, ქვეყნის სამხედრო უნარიანობის გაძლიერებას ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი.

ათი წლის თავზე ყოველი მუშა, გლეხი და პატროსანი მშრომელი მოქალაქე—განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და ასაკისა,—ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მდგარი დარაჯი უნდა იყოს.

ვ. ლუარსაბიძე.

### პიონერები ოქტომბრის შვილები არიან.

### მულაე მჯალ უნდა ვიყოთ ოქტომბრის დიდი რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

# ოქტომბერი.

პეტრე პეტუშილოს ოთხი წელი შეუსრულდა და მებუთეში გადადგა. აღარც ისე პატარაა, რომ არაფერი ესმოდეს.

პო და პეტრემ ბევრი რამე იცის—ბრიყვი როდია.

დედა კი გარეთ არ უშვებს, სულ ასე ეჩიინება:

— შვილო, სადაც არის ზამთარი მოვა, გაცვივდები. ჩექმები სულ დაფლეთილი გაქვს. გარეთ კი აღარ ცხელა, უკვე ოქტომბერია.

როგორც კი დედა კარებს მიეფარება, პეტრე გარეთ გარბის.

ერთხელაც იყო გაება მახეში. დედამ დაიჭირა, დატუქსა, შინ ყურით შემოათრია და, რაც მთავარია, ჩექმები გახადა და გადაუმალა. ფეხშიშველს კი იმდენი რბენა საღ შეუძლია!..

მესამე დღეა პეტრე სახლიდან არ გასულა, ზის მარტო, დარდი მოერია.

ისინი ცხოვრობენ სარდაფში. ფანჯარაში მოსჩანს მხოლოდ ხალხის ფეხები, ძაღლები, კატები და, როცა ფარანს ანთებენ—ქვაფენილზე მოთამაშე ლალისფერი სხივები.

მესამე დღეა ფარანი არ აუნთიათ; პირდაპირ, ქარხანაშიაც, ბნელა—თითქო პეტრეს ემტერებიან. დაღონდა პეტრე, ძალიან დაღონდა. მამას რაღა დაემართა? ხელს თუ გადაჰყვა. მეორე ღამეა დასაძინებლად აღარ მოსულა.

დედა თავის ჭკუაზე აღარაა. სულ ტირის, სულ გარეთ დარბის, პეტრე აღარც ახსენდება.

— კარგია, დედი, გარეთ სირბილი, — ფიქრობს თავისთვის პეტრე, — აბა ერთი სინჯე აქ, სარდაფში, მარტო ჯდომა, ისიც სიბნელეში, უსინათლოდ!

პეტრე მტკიცე ხასიათის ბავშვია, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიმაგრა, გული ამოუჯდა და ღრიალი მოართო.

დედა მივარდა, აღარ იგინებოდა, პეტრეს მუხლებზე თბილი თავშალი შემოახვია, მერე მკერდში ჩაიკრა და ისიც პეტრესავით ატირდა:

— შვილო, ჩვენ მარტო დავრჩით, უპატრონოდ. ყველა ბრძოლაში წავიდა. ვფიქრობ, კარგი არაფერი დაგვემართება.

და ამ დროს ისეთი ქუხილი ატყდა, რომ ჭერი ლამის ჩამოინგრა, ფანჯრები შეზანხარდენ.

პეტრე ჯცებ დაჩუმდა, ძლიერ შეეშინდა, თანაც დანტერესდა.

— დედილო, ეს რა ხმაურია? გრუხუნია? — ეკითხება პეტრე.

დედას შიშისაგან ლამის გული გაუსკდეს, ხმაც დაეკარგა. პეტრე მკერდში უფრო მაგრად ჩაიხუტა და ოღნავ გასაგონი ხმით ჩასჩურჩულა:

— ჩუმიად, შვილო, იყუჩე, ეს გრუხუნია კი არა, ზარბაზნის ხმაა. მამაც იქ არის, ისიც სხვებთან ერთად იბრძვის.

პეტრემ კარგად იცის, რა არის ომი. ამ ზაფხულზედაც იყო ერთ ასეთ ომში თავის ძმებიტებთან ერთად; მოპირდაპირენი ერთმანეთს ეძგერენ. მაშინ პეტრეს ცხვირი გაუტყხეს, მაგრამ არც უტირია, თითქო არაფერიაო.



შვილო, დამახსოვნე, ჩვენი საქმისათვის იბრძოლე მედგრად, მტკიცეა, აი ისე, როგორც მე ვიბრძოდი, — უთხრა მომაკვდავმა მამამ პეტრეს.

— ვისთან ომობენ, დედილო, ვის შეებრძოლება მამა? — ისევ ეკითხება პეტრე და სულაც არ ეშინია: ომი ხომ ყველაზე კარგი გამამხიარულებელი სათამაშოა.

დედა კი უფრო წყნარი ხმით ეჩურჩულება:

— დაჩუმდი, ბიჭიკო, დაჩუმდი, შვილო, მამა ბურჟუებს და ოფიცრებს ეომება.

ჰაი, რა ყოფილა! პეტრემ უცებ ყველაფერი გაიგო.


მათ ქუჩაზედაც ცხოვრობს ერთი ღიბიანი ბურჟუა, სახელად ფედაკა. აი მისი გაბეგვა კი მადლი იქნებოდა.

დიდხანს იყო პეტრე ასე, დედის მკერდში ჩახუტებული, ქუჩაში კი სულ გრგვინავდა, სახლის კედლები ირყეოდა.

გათბა პეტრე, ძილი მოერია, სიზმარიც ნახა: აი, მოდის მხიარული მამა და ფედკას ქოჩრით მოათრევს. გაუხარდა პეტრეს, ფეხები აათამაშა და უცებ გამოეღვიძა. გარედან რაღაც ხმაური მოისმა. ვიღაც მოდიოდა.

კარები გაიღო და ორმა კაცმა, ზენკალმა ძია ივანემ და ვიღაც უცნობმა, შემოიყვანა ფერმიხდილი მამა.

— მოუარეთ, დიასახლისო, — სთქვა ძია ივანემ, — თქვენი ქმარი დაქრილია.



პეტრე დღეს უკვე პიონერია.

დედამ ხელები გასავსავა, აცახცახდა, ადგილიდან დაძვრა ველარ მოახერხა.

მამა ლოგინში ჩააწვინეს და წავიდნენ.

იწვა მამა, სულ გაშავებული, ტუჩები ჩაყვითლებოდა და მძიმედ ოხრავდა. დედა სულ თავს დასტრიალებდა. მამას ხალათი შემოფლეთოდა, მკერდი შეხვეული ჰქონდა, ხალათზე სისხლის წითელი ლაქები აჩნდა.

შეჰყურებს პეტრე მამას და უკვირს: იგი მამას სულს აღარა ჰგავს, სახე ძალზე ჩაშავებია, აღარც ლაპარაკობს, კენესის მხოლოდ.

დედა აქეთ-იქით აწყდება. მეზობლები მოგროვდნენ. ყველანი ოხრავენ და სტირიან.

მამამ თვალები გაახილა, სასმელი მოითხოვა, მერე პეტრეს ხანგრძლივად დააცქერდა, თითქოს ველარ გამოეცნო თავისი შვილი.

თითო ანიშნა მიახლოვებოდა, თითქმის კიდევ გაულიმა და შემდეგ ამოალაპარაკა:

— არაფერია, შვილო პეტრე, წყეულ ბურჯუებსაც ცუდი დღე დავაყენეთ, სულ კუდიტ ქვა ვასროლინეთ. ჩვენ ვძლიეთ, გამარჯვება ჩვენია. მე დამჭრეს... შეიძლება კიდევ გადავრჩე; შენ კი, შვილო, დაიმახსოვნე, ჩვენი საქმისთვის იბრძოლე მედგრად, მტკიცედ, აი ისე, როგორც მე ვიბრძოდი.

კიდევ რაღაც სთქვა მამამ, მაგრამ ისე ჩუმად, რომ ვერავინ გაიგონა, მერე უკანასკნელად ირგვლივ თვალი მოავლო, ამოიხრატინა, გალურჯდა. მეზობლებმა ერთხმად შეჰკივილეს:

— კვდება, კვდება.

დედა იატაკზე დაეხეთქა, ფინჯანიც გატეხა. პეტრე მამას აკვირდება, ლამის ცრემლებმა გადმოხეთქოს, მაგრამ მაინც არ ტირის.

უნდა კარგად დაიმახსოვნოს ეს ოქტომბრის დამე, აქვითინებული დედა და გალურჯებული მამა.

დიხ, პეტრე ამას არ დაივიწყებს, არასოდეს არ დაივიწყებს.

შვილმა წელმა განვლო მას შემდეგ. პეტრე უკვე თერთმეტი წლისაა. გაიზარდა, სადაც არი კაცი გახდება.

აი, დღეს ქუჩაში მიდის პეტრე.

თავი მაღლა უჭირავს, მიაბიჯებს მტკიცედ, რომ ყინულზე ფეხი არ დაუცურდეს. ირგვლივ სულ ისეთი ბავშვებია, როგორიც თვითონ. მიდიან და მიდიან... მწყობრად .. ყიყინით...

გაისმის ბარაბანის მხიარული ბრახუნი, მუსიკის გუგუნე, ავტომობილის ფრუტუნე. ავტომობილშიდაც ბავშვებია, მხოლოდ უფრო პატარები, რომლებიც ყვირიან და პატარა დროშებს ხელში ათამაშებენ.

მიდის პეტრე ამხანაგების რიგებთან ერთად ქუჩიდან ქუჩაში, შესახვევიდან შესახვევში, და ბოლოს თავი ამოჰყვეს ერთ დიდ მოედანზე.

წითელი დროშები ჰაერში ფრიალებენ, მიდიან დიდები, პატარები, მოხუცები და სულ პაწაწინა ბავშვებიც.

ყველა მხიარულია და აღფრთოვანებული. აგონდება პეტრეს ის წყეული საღამო შვიდი წლის წინათ, ბნელი სარდაფი, მომაკვდავი მამა, მაგრამ მაინც არ იცრემლება, ფეხებს უფრო მტკიცედ მიაბიჯებს, თავი უფრო მაღლა აუწევია, გულზე წითელ ყელსახვევს ისწორებს.

კარგად იცის პეტრემ, რომ მამის სისხლი ამოდ არ დადვრილა და მის ანდერძსაც შეასრულებს, როცა ეს საჭირო იქნება.

ს. აუსლენდერი.

# ოქტომბრის ათი წლის თავზე.

დადგა ოქტომბრის  
მეთე წელი;  
გაისმა მღერა  
მთებში და ბარად.  
დიდი ქალაქის  
ქუჩები ვრცელი  
წითელ დროშებით  
გადაიფარა.

ირევა ხალხი,  
ჯარი ჯარს მისდევს,  
მიაქვთ ხალისი  
მშრომელთა გულებს,  
და მხიარულად  
ყოველი მხრიდან  
მუსიკა მწყობრად  
დაიგუგუნებს.

დაიგუგუნებს  
და მიწას ღებენით  
დააყრის სხივებს  
ცა მოკისკასე.  
თვალწინ გვიდგება  
ოქტომბრის დღენი,  
ბრძოლის სიმკაცრით  
და ცრემლით სავსე.

ტყვიებით გვერდი  
გაუპეს რამდენს,  
რამდენს დაერქო  
მახვილი მტრული!..  
და გამარჯვებულ  
განთიადამდე  
რარავად სცემდა  
მაშვერალთა გული.

დღეს კი მოვდივართ,  
მოვდივართ მტკიცედ  
და ჩვენ თარეშებს  
არა აქვს ზღვარი.  
ჩვენ ხომ სულ ახალ  
ცხოვრებას ვიწყებთ  
და მუდამ ვიბრძვით  
დაუღეგარი.

ჩვენ გულს ოქტომბრის  
სხივები ათბობს  
და გამარჯვების  
სიმღერა წრფელი.  
ჩვენც დიდებით  
ბრძოლები გვათრობს  
და ოქტომბერის  
მეთე წელი.

ირევა ხალხი,  
ჯარი ჯარს მისდევს,  
მიაქვთ ხალისი  
მშრომელთა გულებს,  
და მხიარულად  
ყოველი მხრიდან  
მუსიკა მწყობრად  
დაიგუგუნებს.

გ. სიოშვილი.



შვიარაღებული წითელგვარდიელები ოქტომბრის დღეებში.

# ჩვენის წინაპრები

## ა.

— რა მოხდა? რა ამბავია?..

— არ ვიცი, სროლაა...

— სადა?

— ალექსანდრეს ბაღში...

— რა ვქნა, ასეთი ამბები მეფის დროს ხდებოდა და ახლაც? ვილა ისვრის, ან ვის ესვრიან? მაშ რის თავისუფლებაა?

— ვისა და, რა რუსეთში მუშებმა დროებითი მთავრობაც მეფის მთავრობას მიაყოლეს ოქტომბერში, რადგანაც იქ მოიკალათეს კადეტებმა, ესერებმა და მენშევიკებმა, რომლებმაც მუშათა პირობები არ გააუმჯობესეს, გლეხებს მიწა არ მისცეს, ჯარი შინ არ დააბრუნეს და ომს ბოლომდის განაგრძობდნენ, ქვეყანა გაჭირვებაში იყო; სიტუტვლე, შიმშილი, სიღარიბე და ავადმყოფობა მუსრს ავლებდა მშრომელ ხალხს; დროებით მთავრობაში შემავალმა პარტიებმა თავიანთი სოციალისტური დაპირებები არ შეასრულეს და ხალხი აჯანყდა. ამ აჯანყებულებს ბოლშევიკები გაუძღვენ წინ ლენინის მეთაურობით და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს... იმ პარტიებმა კი სხვადასხვა მხარეს შეაფარეს თავი და დამოუკიდებელი რესპუბლიკები გამოაცხადეს, აი, როგორც აქ... მუშები კი ბოლშევიკებს მიჰყვებიან... ახლაც ალექსანდრეს ბაღში მიტინგი იყო, რომელსაც ამიერკავკასიის სეიმის ჯარი თავს დაესხა და სროლა აუტენხა, — მიუახლოვდა ერთი ახალგაზრდა გაკვირვებით მოლაპარაკე მოქალაქეებს და უთხრა, მერე ბარიათინის ქუჩაზე დაეშვა, საიდანაც ხალხი ხმაურობდა; ჯარი კი ალყად იდგა და ისროდა თოფებს, ტყვიამურქვევებს და რევოლვერებს...

ქალაქი შეწრიალდა ამ ხმაურობაში, არ იცოდა რაში იყო საქმე და ერთიმეორეს ეკითხებოდნენ საქმის ვითარებას...

ბაღში ისმოდა კენესა დაჭრილებისა და ქალების კივილი... ბაღში მოსიერნე ბავშვები დარბოდნენ შეშინებულნი, სტიროდნენ, ეხლებოდნენ ეკლიან მავთულებს, სისხლი სდიოდათ, მოაჯირზე უნდოდათ გადაბტომა, ვერ სწვდებოდნენ, იქიდანაც მოაღყენი ქუჩაში არავის უშვებდნენ...

მკვდრები და დაჭრილები საავადმყოფოსკენ გაატარეს ეტლებით და ჯაგვებით...

დაჭრილები მილიციაში და ციხეებისაკენ გაუყენეს..

აგერ იქ, სადაც ახლა აუზია გაშენებული, სადაც შადრევანი სცემს ლამაზად, ყვავილნარში, რომლის ქვეშაც ჩამარხული არიან საქართველოს გასაბჭოებისათვის მებრძოლნი — 21 წელში დახოცილი არმიელები და სხვა, იმ მიტინგის დახვრეტის შემდეგ სისხლის ტბა იდგა და ისმოდა წყევა-კრულვა მაშინდელი მთავრობისადმი...

## ბ.

თბილი დღე იყო, მზიანი, და ხალხი გარეთ იყო გამოფენილი... მიტინგის მონაწილეთა სახლებში კი ისმოდა გლოვა... ზოგი მამას ეძებს, ზოგი დედას, ზოგი ძმას, ზოგი დას და შვილს...

ჯალათები კი ამ დროს სასახლეში შეკრებილიყვნენ და დასცინოდნენ მიტინგზე ამოჟღეტით, ხარხარებდნენ, მიტინგის მონაწილე ბოლშევიკებს აბრალებდნენ ამ სისხლის ღვრას: თითქოს პირველად მიტინგიდან ესროლოთ ჯარისთვის რევოლვერი...

უყვებოდა ამ ცხრა წლის წინათ მომხდარ ამბავს მასწავლებელი ჩამოსულ ექსკურსანტ პიონერებს, ჯელად ალექსანდრეულ და ახლა კომუნართა ბაღში და უხსნიდა იმ ამბების მნიშვნელობას და როლს დღევანდელი დროის გამარჯვებისა და ჩვენი ქვეყნის აყვავების საქმეში, რასაც გულდასმით ისმენდნენ ბავშვები. რა მაშინდელ ბავშვებზე დაიწყო მასწავლებელმა, პიონერებმა ყური სცქვიტეს...

— მოგვიყევ, მოგვიყევ, მასწავლებელო...

— გთხოვთ.

შემოეხვიენ აქეთ-იქიდან და დაუწყეს მუდარა...

— კარგი... მე, როგორც იმ მიტინგის მონაწილე, გეტყვით, რაც მახსოვს... მაშინ, რასაკვირველია, ასე შეკავშირებული ბავშვები, აი, როგორც თქვენ, არა ყოფილან, რადგანაც ბავშვების ასე აღზრდას, როგორც დღეს, ყურადღება არა ჰქონდა მიქცეული, მაგრამ იყვნენ ცალკე გვირი ბავშვები, რომლებიც, ჰხედავენ რა მამების ბრძოლას, ბაძვდნენ მათ, სწავლობდნენ ბრძოლას...

ასეთი იყო, მაგალითად, ამ მიტინგზე დაღუპული ერთი რკინისგზელი მუშის შვილი, ათი წლის გუცა, რომელიც ამ დღეს მამას წამოყოლოდა ბაზრობაზე და აქ მიტინგზე გამოეცლოთ...

და დაიწყო.



გაისმა სროლა... სროლა... ხალხი აირია. გუცას თვალთ დაუბნელდა... დაეცა...

8.

— ძირს სეიმი, ძირს მენშევიკები და ესერები, გაუმარჯოს საბჭოებს და ბოლშევიკურ პარტიას! — შეჰყვირა გუცას მამამ, რა ორატორმა სიტყვა დაათვა და იგრილა ზღვა ხალხის ტაშმა. ტაშს უკრავდა აგრეთვე გუცაც. უხაროდა, იცინოდა... მღეროდა... და, რა თავმჯდომარემ — ამხანაგმა სერგო ქავთარაძემ — განაცხადა, სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ნაზარეტიანსო, — ყოველი მხრიდან იქექეს თოფებმა და ტყვიამფრქვევმა ხომ ააფორიაქა აქაურობა კაკანით... ყველა განცვიფრდა, არ მოელოდნენ ასეთ მუხანათურ თავდასხმას... თავმჯდომარე მაღალი ტრიბუნიდან მოუწოდებდა ხალხს დამშვიდებულიყენენ, პანიკას არ მისცემოდნენ. მაგრამ აირია ყველაფერი. ერთი მუჭა გაბედულ მებრძოლთა გარდა ყველა ცდილობდა ბალს განშორებოდა... გარეთ კი ალყა; სცემენ თოფის კონდახებს, არავის უშვებენ გარეთ და უშენენ... ხაფანგში მოქცეულ ნადირს დაემსგავსა მიტინგი...

— ამხანაგებო! შეჩერდით!.. ნუ იშლებით!.. ჩვენ კისერს მოვუგრებთ ამ ჯალათებს!.. — იყვირა გუცას აღელვებულმა მამამ და გაექანა ოფიცრისაკენ, რომ რევოლვერი წაერთმია, მაგრამ იქვე დაეცა განგმირული...

— შეილო... გუცა... არ დაგავიწყდეს შურისძიება... — ეს-ღა იყო მისი უკანასკნელი სიტყვა... გუცა ჯერ თითქოს დაიბნა, შემინდა, კინალამ ტირილიც კი დაიწყო, მაგრამ რა მამის ეს სიტყვები გაიგო და ძირს დავარდნილ მამას შეხედა, რომელსაც სისხლი შადრევანივით გადმოსდიოდა გულიდან, — გონს მოვიდა, აენტო, მისი პატარა გული აჩქროლდა, მუშტები მოკუმბა, ეცა ოფიცრს

მკლავზე და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დააფრინდა, კბილები გაუყარა; ოფიცერმა სიმწარით რევოლვერი გააგდო ხელიდან, დაბარბაცდა, გუცა დასწვდა, აიღო და გამოსწია ჩახმახს... რევოლვერმა იგრიალა, მაგრამ იმის ძალას ვერ გაუძლო, ტყვია დაბლა მოხვდა ოფიცერს, ბარძაყში..

გუცას თვალი დაუბნელდა... დაბარბაცდა... რაღაცა სიმწარე იგრძნო და დაეცა... ველარ გაუძლო თოფის დუმას, რომელიც მოუქნია მას დაქირავებულმა მხედარმა...

დ.

მხოლოდ მეორე დღეს, მთლად დასისხლიანებული, გამოეწვია საავადმყოფოში და საშინელ ტკივილებს გრძნობდა... არ იცოდა სად იყო და უაზროდ აცეცებდა თვალებს...

— სრულიად შემთხვევით გადარჩა ეს ბავში... — ეუბნებოდა ერთი იმავე მიტინგზე დაჭრილი მუშა სათნოების დას... — მოკვლა უნდოდათ, მაგრამ რა მიტინგის ხალხი მიაწვა ალყის გასარღვევად, მელყეებმა დაიხიეს უკან... ამ ბავშს კი მე დავტაცე ხელი, მინდოდა გამომეყვანა ქუჩაზე, მაგრამ ამ დროს მეც მომხვდა და... ველარ დავიძარი... მერე ხომ ე' თად მიგვიყვანეს...

— თავი აქვს ძალზე დაზიანებული და ფეხი... — მიუგო სათნოების დამ...

რა ეს სიტყვები გაიგონა გუცამ, ყურები სტკეიტა... გუშინდელი სურათი წარმოუდგა თვალწინ... უკანასკნელი ძალი მოიკრიბა და წამოიწია ლოგინიდან... შეჰყვირა და უნდოდა გაქცევა, მაგრამ ვერ შესძლო, ძალამ უმტყუნა, უკან გადაეშვა, აქვითინდა.

— მოგვდევენ... ისვრიან... სისხლი... მამა, მამა... — ყვიროდა, მაგრამ სათნოების დამ დაუწყო დამშვიდება...

— ნუ, ჩემო ბიჭიკო, ნუ... არაფერია... დამშვიდდი..

— როგორ თუ არაფერია? აქ სადა ვარ?!

— სადა და... ჩემთან... აგერ... საავადმყოფოში... სადღაც დავარდნილხარ... თავი გაგიტეხია და... — უშალავდა ბავშს სინამდვილეს, მაგრამ გუცას ყველაფერი გაახსენდა, ყველა სურათი თვალწინ წარმოუდგა...

— ჰმ... სადღაც დავვარდი?! დავვარდი კი არა, დამაგდეს... რაღაცა დამკრეს თავში... მამა! სადაა მამა?! მოჰკლეს?! ჯალათები! სისხლის მსმელები!.. დამაცადონ, ერთი გავიზარდო... — იმუქრებოდა, ქვითინებდა, რამაც სათნოების და აატირა, დაჭრილი

მუშა დააფიქრა, პალატაში მწოლარე ააშუთათა...

— განა ნიკოლოზის მთავრობას ამიტომ ვებრძოდით, რომ ისევ ისეთი დღე დაგვდგომოდა?! — ამბობდა მუშა ბრაზით. .

— იმ დათვის ტყავს მაგ ჯალათების ტყავსაც ზედ მივაყოლებთ, მაცალიან!.. — იმუქრებოდა გუცა...

— ერთი ამ პატარა რევოლუციონერს უყურეთ, ამ წითელ ეშმაკს... ზედვე ეტყობა, რომ ბოლშევიკი გამოვა... — წაიხუმრა იმავე მოხუცმა ავადმყოფმა და ჩაიცინა...

— მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო — ნათქვამია, — დაუმატა მუშამ. — დედა იყო და მეფის დროს მოკვდა ციხეში, მამაა და ხომ გუშინ... — აღარ დაათვა... ბავშს გადახედა, რომელიც ღელავდა, და დამშვიდება დაუწყო...

— დამშვიდდი, შვილო გუცა, დამშვიდდი, და არც თუ ისე შორსაა მაგათი სინსილის გაწყვეტის დღე...

ე.

— გავიდა ხანი... გუცა მოკვდა... გამოეწერა საავადმყოფოდან და ბიძასთან იზრდებოდა, რომელიც აგრეთვე ბოლშევიკი იყო და ზრდიდა გუცასაც... თუ რაიმე საშიში დავალება იყო: პროკლამაციების გადატანა, გაკვრა ქუჩებზე, იარაღის ზიდვა და სხვა, — ყველაფერს ყოჩაღად ასრულებდა... როგორც პატარაზე, მასზე ეჭვი არ მიჰქონდათ და ისიც სარგებლობდა ამით... და თუ თქვენ ახლა ასე თავისუფლად სტკებებით მოპოვებული გამარჯვებით, გუცას და მისთანა სხვებს ბევრი წილი აქვთ ამაში...

მერე ხომ მეც დამიჭირა მენშევიკურმა მთავრობამ და გადამასახლა რუსეთში და რა ამ შვიდი წლის წინათ აქაც გასაბჭოება მოხდა, დავბრუნდი... აღარსად შემხვედრია გუცა, რომელიც უკვე კარგა გაიზრდებოდა და მხოლოდ მოგონება — და თუ შეიძლებოდა მისი გმირობის შესახებ... აქ ერთმა ამხანაგმა ისიც კი მიაშბო, რომ წითელი ჯარი რომ შემოდოდა ტფილისში, და მენშევიკების ჯარები იხევდენ, ნაძალადევი მუშები რომ დაუხვდენ და იარაღს ჰყრდენ, გუცაც მათში იყო... მაგრამ ჩემს გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც შარშან, რუსთველის პროსპექტზე, ახალგაზრდათა დღესასწაულზე ცეკას წინ ტრიბუნაზე ვნახე ერთი ახალგაზრდა, რომელიც ჰქუხდა და უამბობდა ახალგაზრდობას მენშევიკების დროის ამ-



ბავს, ბავშვების მაშინდელ მდგომარეობას და დღევანდელს ადარებდა. მიმიზიდა იმისმა ლაპარაკმა. შევდექი, ყური დაუფუგდე... იმის ცეცხლიანი სიტყვები მე ბევრ რამეს მაგონებდა, თითქოს მეცნობოდა ხმაც, მაგრამ ვერ მოვსულიყავი აზრზე, თუ სად მენახა. გვერდზე მდგომ ახალგაზრდას შევეკითხე, თუ ვინ იყო მოლაპარაკე...

— ეგ, ამხანაგო, პიონერი იყო და ეს მეორე წელია ჩვენს ახალგაზრდათა კომკავშირში გადმოვიდა, ახალგაზრდა ლენინელია და გაბედული, შეგნებულის, საამაყო ამხანაგი. — მიპასუხა მან.

— რა გვარია? — შევეკითხე...

— გვარი არ ვიცი და სახელი კი გუცა ჰქვიან, — მიპასუხა და გამშორდა.

ეს იყო გუცა... მერე გამოვეცნაურე კიდევ...

— მე ბევრი ვიტანჯე, უფროსო ამხანაგო, მაგრამ მამის ანდერძი მაინც შევასრულე... შურისძიება აღემართე ყველა მშრომელთა ჯალათებზე!.. — მიხსრა მან და ღიმილით ჩამომართვა ხელი...


აი როგორები იყვნენ, ჩემოპატარა ამხანაგებო, თქვენი წინაპარი ბავშვები...

დაათავა მასწავლებელმა და გაუძღვა ექსკურსიას ბოტანიკური ბაღისკენ...


ბავშვები კი ჩააფიქრა მისმა ნაამბობმა...

— ჩვენ არ დავივიწყებთ წინაპართა ტანჯვას და ბრძოლას! — შესძახა ერთმა პიონერთაგანმა და მარჯვენა ხელი მაღლა ასწია...

ს. ერთაშვილი.



ლაბორატორიული მუშაობა შრომის სკოლაში.



# აფეთქება

## პიესა ვ მოქმედებად

### მოქმედნი პირნი:

- ჩაიკინი — მეზღვაური
- გრავე — არტილერისტი — პრაპორშჩიკი.
- ბურგომისტროვი — მუშა, პარტიის წევრი.
- ვერიოვკინი — 14—15 წლ.
- დებალინი — 14—15 წლ.
- ვორონცოვი — ყმაწვილები
- ნასტია უსოვისა — 15 წლის ქალიშვილი.
- კირილე ჩიჩაგოვი — საზღვაო ოფიცრის შვილი, 14 წლისა.

- მაკარენკო —
- მოხალისე ჯარისკაცი } კაზაკები
- კობოზევი — გზის დარაჯი.
- მისი ცოლი
- მუშები
- კაზაკები

### პ რ ო ლ ო ბ ი

ფარდის ახდისას სცენაზე გამოდიან ვორონცოვი და დებალინი. ხელში უჭირავთ თოფის ვაზნებით სავსე აბგები. ჩამოსხდებიან და ითვლიან ვაზნებს.

**ვორონცოვი.** რამდენი ვაზნა გაქვს?

**დებალინი.** 30 ცალი... ორი ვაზნა დაუცვლელია.

**ვორონცოვი.** მე კი მაქვს 5 დაუცვლელი ვაზნა და კიდევ ორი მჭიდო... სულ იმ სროლის დროს შევაგროვე. რა კარგი იქნებოდა, რომ არ გამოვეგდეთ. მთელ აბგას გაევასებდი, რომ კიდევ დავრჩენილიყავი.

**დებალინი.** შენ გეუი ხომ არ ხარ! ერთმა მუშამ დამიყვირა: ბიჭო, რას დარბიხარ, აქ სროლის ხაზია, ტყვია მოგხვდება და მოგკლავს; დაიკარგე აქედანო... მე შემეშინდა და გამოვიქეცი.

**ვორონცოვი.** რა მშიშარა ხარ! წითელი გვარდია სროლას სწავლობს და შენ კი შეგეშინდა... მშიშარა!

**დებალინი.** მე ვარ მშიშარა?... მე ვარ მშიშარა?... (მუშტს უქნევს ვორონცოვს. შემოდის ჩიჩაგოვი).

**ჩიჩაგოვი.** გამარჯობა, ყმაწვილებო! ეს რა ამბავია?

**დებალინი (ვორონცოვს).** მე შენ გიჩვენებ, ვინ არის მშიშარა... (აგროვებს ვაზნებს) ვნახოთ!.. (ჩიჩაგოვს) ვაზნები თოფისა...

**ჩიჩაგოვი.** როგორ ჰყიდით?

**დებალინი.** არ ვყიდით.

**ვორონცოვი.** თუ ვაზნები გინდა, წადი და როცა სროლა იქნება, შენ თვითონ შეაგროვე.

**ჩიჩაგოვი (დებალინს).** ვანიკო, მომყიდე... თითო ცალში ორ შაურს მოგცემ.

**დებალინი.** შენ რათ გინდა ვაზნები?

**ჩიჩაგოვი.** თამაშობას გავმართავთ. აბა, ყმაწვილებო, დავიწყეთ!

**ვორონცოვი.** კარგი.

**ჩიჩაგოვი.** მასესხეთ ექვსი ცალი.

**დებალინი.** აჰა, წაიღე... დააწყეთ ორ-ორი წყვილი.

**ვორონცოვი.** მზად არის. ვანიკო, დაიწყე. (თამაშობენ. შემოდის ვერიოვკინი, მას მხარზე გადაკიდებული აქვს კარაბინი; ახურავს თავისი მამის სამხედრო ფორმის ქუდი. ვერიოვკინი უსტვენს, ყმაწვილები შესწყვეტენ თამაშობას, გაოცებული უცქერენ ვერიოვკინს).

**ვერიოვკინი.** რას მიუტრებთ? ვაზნები დაცლილია?

**ჩიჩაგოვი.** დაცლილია.

**დებალინი.** გვაქვს დაუცვლელი ვაზნებიც... მე ორი მაქვს.

**ვორონცოვი.** მე კი ხუთი მაქვს.

**ვერიოვკინი.** მომეცით...

**ჩიჩაგოვი.** თუ თითო ცალში ორ-ორ შაურს მოგვცემ...

**ვერიოვკინი.** ორ-ორ შაურს კი არა, ისეთ სილას გავარტყავ, შე სპეკულიანტო! მომეცი ახლავე! (ხელში ატრიალებს თოფს, კონდახს მიწაზე ურტყამს) აბა! (დებალინი შეშინდება და ვაზნებს აძლევს) აი, აგრე... ჩვენთვის ყოველი ტყვია საჭიროა...

**ვორონცოვი.** შეჩერდი... შენ თვითონ საიდან ხარ?..

**ჩიჩაგოვი.** თოფი სად იშოვე?

**ვერიოვკინი.** სად ვიშოვე? ცხადია, სად: მამას გამოვართვი ქარხანაში. მე ათეულში მიმიღეს უკვე...

**დებალინი.** რა ათეულში, რის ათეულში, რა არის ათეული?...



**ვერიოვკინი.** როგორ? არ იცი, რა არის ათეული? ჩვენს ქარხანაში წითელი გვარდია შედგა რევოლუციის დასაცავად. როგორც არ გრცხვენია, რომ არ იცი, რა არის ათეული? ათეული რაზმია. გაიგე?

**ვორონცოვი.** გაიგე.

**ვერიოვკინი.** ეს აქამდეც უნდა გცოდნოდა. ახლა ჩვენ სროლას ვსწავლობთ. შორს, ხევში მივდივართ სავარჯიშოდ.

**ვორონცოვი.** ვიცით.

**ვორონცოვი.** კადეტებს ეს არ მოსწონთ... ჩვენ მალულად ვვარჯიშობთ. თქვენ კი, ყმაწვილებო, ვისი მომხრე ხართ, კერენსკის, თუ ბოლშევიკების?

**ვერიოვკინი.** რასაკვირველია, ბოლშევიკების... ისინი...

**ვერიოვკინი.** მაშ რას გაჩერებულხართ? — ბზეს ყლაპავთ?

თუკი თქვენ მართლა მუშათა საქმეს გინდათ ემსახუროთ, რევოლუციის დასაცავად იბრძოლოთ, თქვენ უნდა შეხვიდეთ წითელ გვარდიაში.

**ვორონცოვი.** რას ამბობ! ჩვენ არ მიგვიღებენ გვარდიაში: გვეტყვიან, პატარები ხართო!

**დებალინი.** სროლაც საშიშია... თოფის ხმა ძალიან..

**ვორონცოვი.** გაჩუმდი, შე მშიშარა!..

**ვერიოვკინი.** (ვორონცოვს) შე ამბობ, არ მიგვიღებენ? ნუ გეშინია. ისინი მიგიღებენ, თუ თქვენ უოჩალი ყმაწვილები გამოდგებით. გინდა თუ არა წითელ გვარდიაში შესვლა, მუშათა საქმის სამსახური?

**ვორონცოვი.** რასაკვირველია, გვინდა.

**ვერიოვკინი.** მაშ წავიდეთ შტაბში. იქ მე მიცნობენ. ვთხოვ, რომ მიგიღონ წითელ გვარდიაში. მე თქვენი უფროსი ვიქნები... თანახმა ხართ?

**ვორონცოვი** | თანახმა ვართ...  
**დებალინი** |  
**ჩიჩაგოვი** |

**ვერიოვკინი.** თუ შტაბში შეგეკითხებიან: „სროლა იცით?— თქვენ უპასუხეთ: „ვიცით“. აი, უყურეთ, როგორ უნდა გაიტენოს თოფი, ერთი... ორი... ვაზნა აქ უნდა ჩაიდოს. მომეცი გაუსროლელი ვაზნა. (ვაზნას სდებს თოფში). აი, მზად არის. ტყვია უკვე თოფშია. მერე უნდა დაუ-

მიზნო. აქ თითი უნდა გამოკრა და ბუპ... შემდეგ დაცლილი ვაზნა უნდა გადაავლო. გაიგე?

**ჟველანი.** გაიგეთ.

**ვერიოვკინი.** მაშ დროს ნულარ დავკარგავთ. ბიჯებით იარ... ყმაწვილებო, უფრო მარბად გაიარეთ.

**ვორონცოვი.** შენ ნამდვილად იცი, რომ მიგვიღებენ?

**ვერიოვკინი.** მიგიღებენ, ნუ შიშობთ. იარეთ. ერთი, ორი, ერთი, ორი. (გადიან).



ამხ. ლენინი და ამხ. სტალინი.

**მოქმედება პირველი**

წითელი გვარდიის შტაბი. შენობაში არეულ-დარეულობაა. უწყსრიგოდ აწყვია თოფები, ტყვის-მფრქვევლები, ყუმბარები. ისმის სროლა. სცენაზე არიან მეზღვაური ჩაიკინი, ბურმისტროვი და პრაპორშჩიკი გრავე.

**მუშა.** ჩაიკინი ვინ არის აქ?  
**ჩაიკინი.** მე ვარ ჩაიკინი. რა მოხდა?

**ბურმისტროვი.** შენ საიდან მოდიხარ?

**მუშა.** სადგურის ქუჩიდან. კაზაკებმა გზა გადაგვიჭრეს... ჩვენებმა უკან დაიხიეს..

**ჩაიკინი.** ((ყვირის). რაო? როგორ მოგივიდათ ეს?... სადგური ისევ

ჩვენების ხელშია?

**მუშა.** როცა მე მოვედიოდი, სადგური მაშინ ჩვენების ხელში იყო... ზურგიდან მოგვიარეს... ტყვისმფრქვეველი დაგვიშინეს... დაილუპა ჩვენი საქმე, გათავებულა.

**ჩაიკინი.** ამხანაგო, პანიკას ნუ ავრცელებ. საჭიროა სიმტკიცე, სიმბნევე და გაბედულობა... შეჩერდი. საითკენ დაიხიეს ჩვენებმა.

**მუშა.** ხევისაკენ. ჩასაფრდენ იქ და ისვრიან.

**გრავე.** ვაზნები ბევრი აქვთ?

**მუშა.** აქვთ... ხალხი გვაკლია... ხალხი მოგვეციოთ ჩქარა... ორმოცი კაცი მაინც, თორემ დავიღუპებით... გამოვიწვიეთ სათადარიგო რაზმი, მაგრამ ტელეფონი გაფუჭებული აღმოჩნდა და ვერაფერი გავაგონეთ.

**ჩაიკინი** (ხელში იღებს ტელეფონის მილს). მომეციოთ სათადარიგო რაზმი... ჩაიკინი ლაპარაკობს. ხალხი გყავთ? რაო! მხოლოდ ახალგაზრდებია?... რაში გამომაღებებიან ისინი?... თოფები არა აქვთ?.. (ტელეფონის მილს სდებს) სათადარიგო რაზმში არავინ არის. არიან მხოლოდ ახალგაზრდები.

**მუშა.** ამხანაგო, ვიღუპებით. დახმარება აუცალბეელია, ოცი კაცი მაინც მოგვეციოთ!

**ჩაიკინი.** ხალხი არ გვყავს, გაიგე თუ არა, დაბრუნდი უკან. ნახევარი საათი მაინც გაუძელით...

**მუშა.** ამხანაგო, დაუხმარებლად ვერაფერს ვერ შევძლებთ.  
**ბურმისტროვი.** ამხანაგო გრავე, თქვენ უჩემოდ იმუშავებთ. (მუშას) მოიცა... მე შენთან წამოვალ.

**ჩაიკინი.** კარგი იქნება, თუ წახვალ.  
**მუშა.** დაგვცინი, თუ რაა? რას გვიშველის ერთი კაცი.  
**ბურმისტროვი.** ნუ გეშინია, მე მარტო არ წამოვალ. (უჩვენებს ტყვისმფრქვეველზე) აი, ეს ტყვისმფრქვეველი წავიღოთ...

**ჩაიკინი.** (ფანჯრიდან გადასძახებს) შაროვ! ამ ამხანაგებს წაიყვან სადგურის ქუჩაზე; მალე დაბრუნდი უკან. (შაროვის ხმა: „ახლავე!“). ისმის ავტომობილის ხმა) ჩქარა, ამხანაგებო, გასწით!

**ბურმისტროვი.** ახლავე. (ისმის ტელეფონის რეკა).  
**ჩაიკინი** (ხელში იღებს ტელეფონის მილს). რაო?.. სად?.. როგორმე გაუძელით, ამხანაგებო.. ხალხი არ გვყავს... გეუბნებით, რომ არ გვყავს!.. არავითარი პანიკა... ტყვიები არ გაქვთ?.. ახლავე გამოგიგზავნით. ნუ გეშინიათ. (ტელეფონის მილს სდებს) ამხანაგო გრავე, ახლავე წადი მოტოციკლეტით, არსენალიდან ტყვიები გამოიტანე და რაზმს გაუგზავნე.

**ვერიოვკინი.** ჩვენ სათადარიგო რაზმიდან მოვედით... ეს არის ახალგაზრდა ბოლშევიკების პირველი ხუთეული.

**ჩაიკინი.** ძალიან კარგი... ეს გოგონაც თქვენთან არის?...  
**ვორონცოვი.** ჩვენთან არის.  
**ჩაიკინი.** სროლა იცით?..

**ყველანი.** ვიცით.  
**ვერიოვკინი...** მთელი თვე ვსწავლობდით წითელგარდიელებთან.

**ჩაიკინი.** აბა, მიჩვენეთ, როგორ უნდა თოფის ხმარება?.. (ყმაწვილები აჩვენებენ). მიჩვენეთ, როგორ უნდა გაიტენოს თოფი?..

**ნასტია.** აი, ასე... (აჩვენებს).  
**ჩაიკინი.** სწორია... ყმაწვილებო, თოფებს მოხსენით ხიმტები, უფრო მსუბუქი იქნება, აი, ფანჯარაზე ვაზნები აწყვიტა. აიღეთ ოც-ოცი ცალი. ვინ არის თქვენში უფროსი?..

**დებალინი.** ვერიოვკინი...  
**ვეროვკინი** (წამოდგება წინ). მე...  
**ჩაიკინი.** მარტო რომ ვერ შეძლებთ?.. ხელმძღვანელი რომ არ გყავთ? აი, რევოლვერიც წაიღეთ, გაიქცით ხევისაკენ, იცით, სად არის?  
**ყველანი.** ვიცით.

**ჩაიკინი.** ხევში ჩვენები არიან ჩასაფრებულნი. მონახეთ სვერჩოვი.  
**დებალინი.** წყალსაქაჩის მეხანძრე?..  
**ჩაიკინი.** ჰო, სწორედ ის. უთხარით მას, რომ მე ვაგაზხანეთ მასთან და ვავალებ თქვენი რაზმის უფროსობას.  
**ვორონცოვი.** ვოლოვის ქუჩით წავიდეთ?  
**ჩაიკინი.** ვოლოვის ქუჩით... სადგურის ქუჩა დაკავებულია... აბა, ჩქარა... მარდად, ყმაწვილებო.  
**ვერიოვკინი.** ყმაწვილებო, მომყევით. (ახალგაზრდები მწყობრად მიდიან. ისმის ყუმბარის ხმა, ტელეფონის ზარის რეკა).  
**ჩაიკინი** (იღებს ხელში ტელეფონის მილს). შენა ხარ, ამხანაგო?.. რაო?.. სად არის ზარბაზნები?.. ხევეს უშენენ?.. ახლავე (ფანჯრიდან გადასძახებს) ყმაწვილებო, დაბრუნდით. რაო? ახლავე დაბრუნდით უკან, ლაპარაკს თავი დაანებეთ.

**ვერიოვკინი.** ვასრულებთ თქვენს განკარგულებას, ამხანაგო ჩაიკინო. (შემოდინ ახალგაზრდები).  
**ჩაიკინი.** დააწყეთ თოფები.  
**ვერიოვკინი.** ყმაწვილებო, დააწყეთ თოფები!..  
**ჩაიკინი.** ყმაწვილებო, მტერს ახალი დამხმარე ძალა შემატა. ჩვენებს ხევში სამი ზარბაზანი უშენს. ჩვენს რაზმს აღარ შეუძლია მტრის შემოტევის შეჩერება. რამდენიმე წუთის შემდეგ კაზაკები შემოვლენ ქალაქში. მე მივდივარ არალეგალური მუშაობისათვის.

**ვერიოვკინი.** გასაგებია.  
**ვორონცოვი.** ჩვენ როგორ მოვიქცეთ?..



ლენინი ლაპარაკობს

**გრავე.** ახლავე. (წელზე იკიდებს რევოლვერს, იკიდებს ხმალს და გადის. ისმის ტელეფონის რეკა).

**ჩაიკინი** (ხელში იღებს ტელეფონის მილს). დიახ, შტაბია... გიგზავნით ტყვისმფრქვეველს, მედგრად იყავით. მე მარტო ვარ... წამოსვლა არ შემიძლია... შტაბს ვერ დავტოვებ... რაო? თუ შემოტევას ვერ გაუძლებთ, დაიხიეთ გზატკეცილის მიმართულებით... სიმტკიცე, ამხანაგო, სიმტკიცე... რაო?.. არ შემიძლია. შტაბში მხოლოდ მე დავრჩი. (შემოდინ ვერიოვკინი, დებალინი, ჩიჩაგოვი და ნასტია).

**ვერიოვკინი.** ამხანაგო, ეს ყმაწვილები მოვიდენ დასახმარებლად.

**ჩაიკინი.** ვინ არიან ესენი?..



**ჩაიკინი.** ამაზე სვერჩოვი გეტყვისთ... შეეცადეთ იარაღი არ დაიკარგოს.

**ყველანი.** ვეცდებით.

**ჩაიკინი.** ტყვისმფრქვეველები აიტანეთ ქერზე..

**ყველანი.** შევასრულებთ თქვენს განკარგულებას.

**ჩაიკინი.** ახლა მომისმინეთ. აქ დევს ასაფეთქებელი წამალი. იცით?

**ყველანი.** ვიცით...

**ჩაიკინი.** ამ ასაფეთქებელი წამლის გადარჩენა აუცილებელია. გადამალეთ ისე, რომ ვერავინ ვერ მიაგნოს.

**ვერიოვკინი.** გადავმალავთ.

**ვორონცოვი.** მე თვითონ დავმალავ.

**ჩაიკინი** (გადაიხედავს ფანჯრიდან, ისმის ხმაურობა). რასაკვირველია... (მაგიდის უჯრიდან ჩღებს ფურცლებს...) აი, ყმაწვილებო, აქ რამდენიმე ფურცელია, მოწოდება კახაკებისადმი. ეს ფურცლები ამალამვე უნდა გაიკრას ქუჩებში და გავრცელდეს ოფიცრების მიერ მოტყუებულ კახაკებს შორის.

**ყველანი.** მზად ვართ შევასრულოთ თქვენი განკარგულება...

**ვორონცოვი.** მე გადმომეცით.

**ვერიოვკინი.** კარგად დამალე... არავინ შეგამჩნიოს...

**ჩაიკინი.** ფურცლები ცოტა დარჩა... არ გვეყოფა.

**ვორონცოვი** (მალავს ფურცლებს). ეგ არაფერია, ამხანაგო ჩაიკინო. მამაჩემი ასოთამწყობია და კიდევ დავაბეჭდვინებ, რამდენიც იქნება საჭირო.

**ჩაიკინი.** აბა, ჩქარა. (სწრაფად გადის მეორე ოთახში და გამოაქვს დროშა). თუ დრო გექნეთ, გადარჩინეთ დროშა. შეგიძლიათ დროშაში გაახვიოთ ყუმბარები (წელზე იკიდებს რევოლვერს და ხელით სასროლ ყუმბარებს). აბა, ყმაწვილებო, მე მივდივარ... არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიოთ კახაკებს. ახლა წადით შინ.

**ყველანი.** მივდივართ...

**ჩაიკინი.** იქონიეთ ერთმანეთთან კავშირი. თქვენ კიდევ საჭირო იქნებით... სვერჩოვთან ამ საღამოსვე მიდათ. ის გეტყვისთ, რაც უნდა გააკეთოთ. ჯერჯერობით ნახვამდის.

**ვერიოვკინი.** ნახვამდის, ამხანაგო ჩაიკინო! (ჩაიკინი გადის. ახალგაზრდებიც ენახდებიან წასასვლელად). ყმაწვილებო, შესდევით. უპირველეს ყოვლისა საჭიროა შეკავშირება. იყავით მედგრად, მტკიცედ. დრო ძვირფასია. ვინ უფრო ახლოს ცხოვრობს აქედან?

**ვორონცოვი.** მე...

**ვერიოვკინი.** მაშ ეს ასაფეთქებელი წამალი ჩააწყვე ჩემოდანში და ფრთხილად წაიღე შინ. არავის დაანახვო, გაიგე?...

**ვორონცოვი.** გავიგე. ყმაწვილებო, მომეხმარეთ (ასაფეთქებელ წამალს აწყობენ ჩემოდანში).

**დებალინი.** არ გაგივარდეს ხელში, ფრთხილად იყავით.

**ვერიოვკინი.** თუ კახაკებს შეეჩებო, უთხარი, რომ ოფიცრის ნივთები მიგაქვს.

**ვორონცოვი.** კარგი, ასე მოვიქცევი.

**ვერიოვკინი.** როცა დამალო, უკან დაბრუნდო. აბა, გასწი...

**ნასტია.** ჩემოდანს ღვედები მოუჭირე, თორემ გზაში გაიხსნება და ყველაფერს დააბნევ... მოიცადეთ...

**ვერიოვკინი.** აი კიდევ გეგმა. ესეც წაიღე (მაგიდაზე შემჩნევს ქალაღდების გროვას). უჰ, რამდენი ქალაღდა!..

**ნასტია.** წავილოთ, გამოვადგება.

**ვერიოვკინი.** მართალია. (ქალაღდებს მალავს უბეში; ვორონცოვი გადის).

**დებალინი.** ჩვენ რა გავაკეთოთ?..

**ვერიოვკინი.** ტყვისმფრქვეველი აიტანეთ ქერზე... ჩიჩაგოვო, დაეხმარე... კარგად, შეუმჩნეველ ადგილას დამალეთ.

**ჩიჩაგოვი.** კარგი. ტყვისმფრქვეველს ნაწილებად დავშლით და ისე დავმალავთ.

**დებალინი.** აბა, წავიდეთ. (ჩიჩაგოვს და დებალინს-მიაკვთ ტყვისმფრქვეველი).

**ვერიოვკინი.** (იატაკის ფიცარს ასწევს ხიშტით).

**ნასტია.** აქ მთელი შენობაა.

**ვერიოვკინი** ჩააწყვე აქ თოფები. მოიცა. ჯერ დროშა ჩავდოთ... ასე... (აწყობენ)

**ნასტია.** ტყვიები საღ შევინახოთ?..

**ვერიოვკინი.** აქვე. (ხურავს იატაკის ფიცარს, შემოდინ ჩიჩაგოვი და დებალინი).

**ჩიჩაგოვი.** ტყვისმფრქვეველი მიღის იქით დავმალეთ.

**ვერიოვკინი.** ძალიან კარგი.

**ჩიჩაგოვი.** კიდევ რა გავაკეთოთ.

**ვერიოვკინი** იმ ოთახში არის ორი ყუმბარა. აიღე და ფრთხილად წაიღე შინ. საშიში ხომ არ იქნება ამ ყუმბარების შენახვა შენს სახლში?..

**დებალინი.** არა. მაგისი მამა ოფიცერია. ნიკოლოზის მომხრე იყო.

**ვერიოვკინი.** ფრთხილად იყავი, მამამ არ გაიგოს.

**ჩიჩაგოვი.** მამა ტყვედ არი გერმანიაში... ყუმბარები ხომ არ აფეთქდება?

**ნასტია.** შეგეშინდა?..

**ჩიჩაგოვი.** ახლავე წავიღებ (გადის მეორე ოთახში).

**ვერიოვკინი** (ჩიჩაგოვს). ძალიან ფრთხილად წაიღე. აბა, ყმაწვილებო, ჩვენ ახლა ყველაფერი გავაკეთეთ. წავიდეთ... (მიღიან კარებისაკენ. კარებში შეხვდება ესაუბლი სოტნიკოვი და კახაკები).

**სოტნიკოვი.** შეჩერდიო...

**ვერიოვკინი.** მტკიცედ, ყმაწვილებო, მხნედ...

**სოტნიკოვი.** ეს ბოლშევიკების შტაბია.

**ვერიოვკინი.** როგორც სჩანს...

**სოტნიკოვი.** ალყა შემოარტყით და გაჩხრიკეთ მთელი შენობა. (კახაკები იწყებენ ჩხრეკას).

**ვერიოვკინი.** (ნასტიას ჩუმად) იტირე, ვითომ თავს აბრალებ.

**სოტნიკოვი.** თქვენ რას აკეთებთ აქ?

**დებალინი.** ჩვენ ისე, ტყვილა მოვედით.

**ვერიოვკინი** (ჩუმად დებალინს). გაჩუმდი, შე...

**სოტნიკოვი.** ყმაწვილები გაჩხრიკეთ.

**ნასტია** (სტირის). ძია, გამიშვი, გამიშვი... ვაი, დედა, ვაი, დედიკო...

**კაზაკი.** არაფერი არ აღმოჩნდა, თქვენო კეთილშობილებავ...

**სოტნიკოვი.** რა ვინდოდათ თქვენ აქ?...

**ვერიოვიკინი.** ჩვენ, ძია...  
**სოტნიკოვი.** მე შენი ძია არა ვარ!  
**ვერიოვიკინი.** როცა ბოლშევიკები აქედან გაიპარენ, ჩვენ მოვედით ქალაქის და კალმების წასაღებად. აი... (იღებს ქალაქლებს უბიდან).

**სოტნიკოვი.** აი, თქვე ავაზაკებო. სთქვით, სად დაიშალა ბოლშევიკების თავმჯდომარე, სად წავიდა, სად არის, სად?..

**ვერიოვიკინი.** არ ვიცი. ჩვენ როცა აქ მოვედით, ბოლშევიკების კვალიც კი არ სჩანდა.

**სოტნიკოვი.** ჰეი, მაკარენკო!  
**მაკარენკო** (შემოდის). აქ გახლავარ.  
**სოტნიკოვი.** ერთი კარგად გაროზგე ეს ყმაწვილები... (მაკარენკო ხელს ჰკიდებს ვერიოვიკინს და ნასტიას და გარეთ გაჰყავს).

**კაზაკი** (მეორე ოთახიდან გამოჰყავს ჩიჩაგოვი). თქვენო კეთილშობილებავ, ამ ყმაწვილს ორი ყუმბარა აღმოაჩნდა ჯიბეში.

**სოტნიკოვი.** ყუმბარები?.. (ჩიჩაგოვს) შენ ვინ ხარ?.. საიდან გაქვს ეს ყუმბარები?.. ვინ მოგცა?.. შენ ბოლშევიკი ხარ?.. გერმანელების ჯაშუში ხარ?.. გაროზგეთ მაგრად.

**ჩიჩაგოვი.** (დაბნეულად) დაქვენო კეთილშობილებავ, მოიცადეთ... მე თქვენ ყველაფერს ვიამბობთ... მე... ჩემი მამა... ჩემი დედა..

**სოტნიკოვი.** გვარი?..  
**ჩიჩაგოვი.** ჩიჩაგოვი... ჩემი მამა მეორე რანგის კაპიტანია... ბოლშევიკებს აგინებდა...  
**სოტნიკოვი.** თვალებს ნუ გვიხვევ.  
**ჩიჩაგოვი.** თქვეხო კეთილშობილებავ! მე იმ ყმაწვილებთან ვიყავი ისე... მე თქვენ ყველაფერს ვიამბობთ... მხოლოდ იმათ არაფერი უთხრათ...  
**სოტნიკოვი.** ვის?..

**ჩიჩაგოვი.** აი, იმ ყმაწვილებს, რომელნიც აქ იყვნენ და შტაბის გადარჩენას ცდილობდნენ.

**სოტნიკოვი.** შტაბის გადარჩენას ცდილობდენ?..  
**ჩიჩაგოვი.** აუარებელი ასაფეთქებელი წამალი წაიღეს ჩემოდნით.

**სოტნიკოვი.** ასაფეთქებელი წამალი?.. მაკარენკო!..  
**მაკარენკო.** რას გვიბრძანებ, თქვენო კეთილშობილებავ.  
**სოტნიკოვი.** ეხლავე დაეწიე იმ არამზადებს. თუ არ შეჩერდენ, ესროლეთ.


**მაკარენკო.** მესმის, თქვენო კეთილშობილებავ! (გარბის).  
**სოტნიკოვი.** ეი, შენ, (კაზაკს) ყარაულო, ეს ბავში არსად გაუშვა...  
**კაზაკი.** მესმის, თქვენო კეთილშობილებავ...  
**სოტნიკოვი.** რომანიუკო!.. წადით შტაბში და მოახსენეთ, რომ ჩვენმა ასეულმა დაიჭირა სოფელი. გერმანიის ჯაშუშების — ბოლშევიკების — შტაბი გაჩხრეკილია, ბოლშევიკები გაიქცენ. დაჭერილია ერთი, რომელსაც აღმოაჩნდა ყუმბარები. გასწით. (რომანიუკი გადის).

**ჩიჩაგოვი** (ისტერიულად). ბატონო ესაულ... თქვენო კეთილშობილებავ... მე ბოლშევიკი არა ვარ. შემებრალეთ... მე კეთილშობილი ოჯახიდან ვარ... მამჩემი მეორე რანგის კაპიტანია... ომში იყო და ტყვედ წაიყვანეს... ჩემი ბებია ბარონესაა... თქვენო კეთილშობილებავ, მე გამოვადგებით... ნუ დამხვრეტთ... (გარედან ისმის სროლა).

**სოტნიკოვი** (ჩიჩაგოვს) შენ შემდეგ მოგელაპარაკები. (შემოდის მაკარენკო) ყმაწვილები დაიჭირე?..  
**მაკარენკო.** ვერ დავიჭირე, თქვენო კეთილშობილებავ... გაიქცენ... ვერ დავეწიეთ...  
**სოტნიკოვი.** შენ კაზაკი ხარ, თუ დედაკაცი?.. გიბრძანებ, აუცილებლად დაიჭირო ის არამზადა ჯაშუშები! (მათრახს დაარტყამს მაგიდაზე).  
**მაკარენკო.** მესმის, თქვენო კეთილშობილებავ...

ნ. სმირნოვი და ს. შჩერბაკოვი.

(ფარდა)



პიონერები ეცნობიან თოდის მოწყობილობას.

# ჩვენი მიზანები.

როდესაც რუსეთის მეფის მთავრობამ 1914 წელს დაიწყო ომი სხვა ქვეყნების დასაპყრობად, ფაბრიკების და ქარხნების უმრავლესობა **გასამხედროვდა**, ესე იგი მშვიდობიანობის დროს მოსახმარი ნივთების და სავაჭროების გაკეთების მაგიერ მათ დაიწყეს ომისთვის საჭირო იარაღების, თოფების, ზარბაზნების და ტყვიების კეთება.

მაგალითად, ნახიჩევანის თუჯის ქარხანამ „ლეი“ პლიტების და ტაფების გაკეთების მაგიერ დაიწყო ზარბაზნის ტყვიების კეთება, ესე იგი აღარ კეთდებოდა ის, რის შესაქმნელადაც იყო ქარხანა დაარსებული, რის გამოც მანქანები და იარაღები იჟანგებოდა და იღუპებოდა.

მაგრამ ომი მხოლოდ დამპყრობი კაპიტალისტებისთვის იყო საჭირო. ომით დაღლილმა და განაწამებმა მუშებმა და გლეხებმა რევოლუცია მოახდინეს და სახელმწიფოს თვითონ ჩაუდგენ სათავეში. მუშებს და გლეხებს უნდა აღედგინათ წარმოება, მეურნეობა და ქარხანა ფაბრიკები, რომ შესდგომოდენ სოციალიზმის დამყარებას.

მაგრამ საქართველოს მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას დიდხანს არ შეეძლო შესდგომოდა ქვეყნის სამეურნეო აყვავებისთვის მუშაობას. რუსეთში მომხდარი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ 1921 წლამდე საქართველოში ბატონობდნენ ევროპის ბურჟუაზიის მომხრე მენშევიკები. მენშევიკები არ ცდილობდნენ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას (ინდუსტრიალიზაცია ჰქვია ქვეყნის ქარხანა-ფაბრიკებით, ელექტრონის სადგურებით და მანქანებით გამდიდრებას).


მხოლოდ 1921 წელს, როდესაც მუშათა კლასმა განდევნა საქართველოდან მენშევიკების ხელი უფლება, ჩვენ შეგუდექით **აღმშენებლობით მუშაობას**.

საერთოდ ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ჩამორჩენილი იყო ინდუსტრიალურად. მეფის მთავრობა არასოდეს არ ცდილობდა განაპირა და პატარა ქვეყნებში აყვავებულიყო წარმოება. მეფეს ეშინოდა, რომ განვითარებული და ძლიერი პატარა ქვეყნები არ აჯანყებულყენენ მის წინააღმდეგ. ამნაირად ჩვენში საერთოდ ცოტა იყო ქარხანა-ფაბრიკა და მსხვილი წარმოება (მსხვილი წარმოებაა ისეთი ქარხანა-ფაბრიკა ან სახელოსნო, სადაც ბევრია მომუშავე). ისიც, რაც იყო ომამდე, ომისა და მენშევიკების ბატონობის დროს სავსებით განადგურდა. ასეთ პირობებში აღმშენებლობითი მუშაობის დაწყება გამარჯვებული მუშათა კლასისთვის და კომუნისტური პარტიისათვის ძლიერ ძნელი იყო, საჭირო იყო ხელახლა ყოველივეს აშენება, რემონტი და აღდგენა, ფული და ოქრო კი ჩვენ არ გვქონდა.

ახლოვდება რუსეთის პროლეტარული რევოლუციის ათი წლის თავი, და საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავი. ჩვენ შეგვიძლია ახლა განვიხილოთ, თუ რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში სოციალიზმის დასამყარებლად. სოციალიზმი, რომლისთვისაც იბრძვის მუშათა კლასი, შეუძლებელია ინდუსტრიალიზაციის გარეშე, ელექტროფიკაციის განვითარების გარეშე, მეცნიერების აყვავების და სოფლის მეურნეობის მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარების გარეშე.

რომ შევადაროთ საქართველოს წარმოება ომამდე (ესე იგი 1913 წელს) დღევანდელ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ დღეს ჩვენში ბევრად უფრო მაღლა სდგას წარმოება და მეურნეობა.

გაიხარდა ქარხანა ფაბრიკების რიცხვი, არამც თუ აღდგენილ იქნა ძველი, დანგრეული და გაჩერებული ქარხნები, როგორცაა საფეიქრო, ტყავის და სხვები, არამედ შენდება, აშენდა და უკვე მუშაობს რამდენიმე ახალი ფაბრიკა-ქარხანა, როგორცაა, მაგალითად, აბრეშუმის ფაბრიკები (ოზურგეთში, სამტრედიისში და ტფილისში), შეიქმნა და განვითარდა სატყეო წარმოება (ხე-ტყის სახერხი ქარხნები, ავეჯეულობის ფაბრიკა ტფილისში, დიდ ვაკეში



აშენებენ ახალ ფაბრიკას.

და სხვ.), მალე დაიწყება ქალაქის ფაბრიკის აშენება რაქაში, რომელიც მთელ ამერიკა-კავკასიის დააკმაყოფილებს ქალაქადით.

განსაკუთრებით გაიხარდა საქართველოში პოლიგრაფიული წარმოება, ესე იგი წიგნების ბეჭდვის საქმე, დაარსდა ახალი სტამბები და გადიდდა ძველი, შემოღებულ იქნა ახალი ამერიკული სწრაფბეჭდავი და სარგებლიანი მანქანები. („როტაციონი“, რომელიც საათის განმავლობაში რამოდენიმე ათას გაზეთს ბეჭდავს).

სოფელსაც ეტყობა სამეურნეო წინსვლა: შემოღებულია ტრაქტორები, რომლებიც საათში ბევრად უფრო მეტს ხნავენ, ვიდრე ხართა და კამეჩით დახნავდნენ კვირაში, თუშკა უნდა ითქვას, რომ საქართველოში, მთიანი ადგილების გამო, ტრაქტორი ყველგან არ გამოდგება, რადგან ის მხოლოდ ვაკეზე მუშაობს. გარდა ამისა, ტრაქტორი ძვირია, და ბევრი მსურველი სოფელში ვერ იძენს მას.

სოფლად ვითარდება კოლექტიური მეურნეობა, ესე იგი ისეთი მეურნეობა, სადაც რამოდენიმე ათეული ან ასეული ოჯახი ერთად მუშაობს და შემდეგ ინაწილებს მოსავალს. ასეთი მეურნეობის განვითარება დაედება საფუძვლად სოციალისტურ საზოგადოებას და ამიტომ მთავრობა მათ ხელს უწყობს. მაგალითად, გურიაში ჩაის კოლექტიური მოყვანისთვის, საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისთვის და, საერთოდ, სოფლის კოლექტიური მეურნეობის გზაზე დასაყენებლად მთავრობა ეხმარება ვლეხებს ფულთ.

მაგრამ, **ლენინის** ანდერძის თანახმად, სოციალიზმის დამყარების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა **ელექტროფიკაცია**, ესე იგი ქვეყანაში ყოველი ქარხანა-ფაბრიკის, ტრამვაის, მატარებლების და სხვათა ელექტრონის ძალით ამუშავება. ელექტრონი ყველაზე უფრო იაფი და მოსახერხებელი ძალაა.

**ზაჰესი**, ჩვენი მეურნეობის სიამაყე, შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ. იქმნება საქართველოში კიდევ მრავალი ელექტრო სადგური (აჭარის წყალზე, აბაშაში და სხვ.).

ერთი სიტყვით, ჩვენ შევდექით ქვეყნის ელექტროფიკაციის მტკიცე საფუძველზე.

ვითარდება ჩვენში რკინის გზების გაყვანაც. მაგალითად, კეთდება შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა, გაკეთდა ოზურგეთ-ნატანების გზა და სხვა.

მაგრამ ის, რაც გაკეთდა, მხოლოდ პატარა ნაწილია იმ დიდი საქმის, რომელსაც სოციალიზმის შენება ჰქვია.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის მოახლოებისას ჩვენ გარკვევით უნდა შევიგნოთ ყველა ის მძიმე და საპასუხისმგებლო ამოცანა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე სდგას.

გარდა აღმშენებლობითი მუშაობისა, საჭიროა აშენებულის და შექმნილის გეგმიანი მოწყობა. ის, რაც მუშათა ხელებით იქმნება, სათანადოდ უნდა იქნას განაწილებული როგორც სახელმწიფოს და მშენებლობის საქმეზე, ისე თვით მუშებისათვის.

მუშათა კლასი უდგას დღეს სახელმწიფოს სათავეში, იგი უზრუნველყოფს თავისი დღიური არსებობის პირობებს და სოციალიზმის შენებასაც.

ბევრი რამ შეჰქმნა მუშათა კლასმა რევოლუციის შემდეგ, მაგრამ კიდევ ბევრი რამ უნდა, შეჰქმნას მან მომავალში; ამ მუშაობისა და ბრძოლის განგრძობისათვის ემზადება ჩვენი ახალგაზრდა თაობა—კომკავშირი და პიონერები.

მ.ხ. ნეთიძე.



ინდოელი პიონერების ინსცენირობა მოსკოვში.

# აფხაზეთის პიონერები

„ახალ ათონში“ მოწყობილი ბანაკის მუშაობა“.

## მომზადებითი მუშაობა

ერთი თვის განმავლობაში ბანაკად გასვლამდე ბ. კ. ო. ბიურომ დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა ბანაკის მოსაწყობად. მზადება გამოიხატებოდა შემდეგში: მოწვეულ იქნა ბიუროს სხდომა ბანაკის საკითხის შესახებ, რომელზედაც დადგენილ იქნა დადგინებული ახალ ათონში. ათონში ბანაკის მოწყობის წინადადება ექიმის (რომელიც სხდომაზე გეყავდა მოწვეული) მიერაც იქნა მოწონებული. ექიმმა შეამოწმა ყველა იმ პიონერთა ჯანმრთელობა, რომელნიც ბანაკად მოდიოდნენ. ბ. კ. ო. ბიურომ დაგზავნა კოლექტივებში მასალა მოსაწყობი ბანაკისათვის, ბანაკის ყოველი პიონერისათვის აუცილებელი ხელსაწყოების და ნივთების სიის დართვით. ამის გარდა ბიურომ მოიწვია კოლექტივების მეთაურების თათბირი ბანაკის საკითხებზე.

გამგზავრებამდე გამოწერილ იქნა მოსკოვიდან პიონერთა კარავები, ბანაკისთვის საჭირო თანხა გაიღეს ცაკმა, სახალხო განათლების განყოფილებამ, სახუმის აღმასკომმა და გემო-კვების პროფკავშირმა (თავისი სამეფო კოლექტივებისათვის: უბინაო ბავშვების სახლი, სკოლა კომუნა და კოლექტივი № 3 „გემო-კვება“). გამგზავრებამდე შერჩეულ იქნა საბანაკო ადგილი. შემუშავებულ იქნა ბანაკად მუშაობის გეგმა პირველი დღეებისათვის და აგრეთვე შემოღებულ იქნა სანიმუშო დღის წესრიგი.

**ბანაკის მოწყობა.** ბანაკის მოსაწყობ ადგილზე მისვლისთანავე გვართულ იქნა 2 ბრეზენტის კარავი, გაღებული ადგილობრივი დაწესებულების მიერ, ვინაიდან მოსკოვში შეკვეთილი კარავები ბანაკობის დაწყებისას არ მოვიდა; მოწყობილ იქნა კარავი კლუბისათვის და ანძა.

ბანაკი დაყოფილ იქნა სამ რგოლად, ამორჩეულ იქნენ რგოლების წინამძღოლები, მოწყობილ იქნა კომისიები: სამეურნეო, სანიტარული და სარედაქციო კოლეგია; ყოველ კომისიაში შედიოდა თითო პიონერი ყოველი რგოლიდან; შემოღებულ იქნა მორიგეობა რგოლებში; მორიგე რგოლის პიონერებს შორის ნაწილდებოდა ბანაკის მთელი მუშაობა დღის განმავლობაში; აგრეთვე განაწილებულ იქნა მორიგეობა ბანაკის ხელმძღვანელებს შორის.

სასაფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის უჯრედთან კავშირის დამყარება ასე გამოხატა: პიონერებმა პრაქტიკული მუშაობა ჩატარეს ტექნიკუმის

ბოსტანში. კავშირის დაჭერა პროფკავშირებთან დაევა ერთ-ერთ რგოლს, რომელიც პროფკავშირების და მუშების ცხოვრებას გაეცნო. მოწყობილ იქნა დაკავშირება ათონის პიონერებთან, რომლებთანაც ტარდებოდა საუბრები ჩვენი ცხოვრების შესახებ ბანაკად, სხვადასხვა თანაშობანი, სიმღერები და სხვ.

ნაწილობრივ ჩატარებულ იქნა მუშაობა შეუკავშირებელ ბავშვებს შორის, რის შედეგადაც რამდენიმე ბავშვი ახალ ათონში პიონერების კოლექტივში ჩაეწერა.

„თავდაცვის კვირეულში“ პიონერებმა მონაწილეობა მიიღეს დემონსტრაციაში, და აგრეთვე მოწვეულ იქნა საზღვარზე მდკომი რაზმის წარმომადგენელი, რომელმაც ჩატარა ბავშვებთან წითელი არმიის, კერძოდ მოსახლვრე რაზმის, ცხოვრების შესახებ საუბარი. ჩინელი ბავშვებისათვის დახმარების მიზნით ახალი ათონის მუშათა კლუბში მოწყობილ იქნა ფასიანი თვითშემოქმედების საღამო.

რომელიმე საქმის ჩატარების წინ იწვეოდა ბანაკის საბჭო, რომელიც ანაწილებდა დაეაღებებს რგოლებს შორის. სულ ჩატარებულ იქნა საბჭოს სამი სხდომა. სხდომები იყო შემდეგი ხასიათის: მომზადება თვითშემოქმედების საღამოსათვის, კანონების და ჩვეულებების გარჩევა ბანაკის ცხოვრებასთან დაკავშირებით, კავშირი პროფკავშირებთან, კოოპერატივებთან და კომკავშირის უჯრედთან, კედლის გაზეთის გამოშვება, ადგილმდებარეობის დახატვა, სადაც ტარდებოდა ექსკურსიები, მწერებისა და ფოთლების კოლექციების შეკრება.

შემდეგი ექსკურსიები იქნა ჩატარებული: ახალი ათონის წარმოების გასაცნობად, საბჭოთა მეურნეობას ყველა სახელოსნოებში, ტყავის ქარხანაში, გავიცანით აგრეთვე ექსკურსიის მეოხებით: ელექტროსადგური, წისქვილი, პურის საცხობი, საქონლის ეზო, ხის სახერხი ქარხანა და სხვ. ადგილმდებარეობის გასაცნობად: ექსკურსია ივერიის მთაზე, მერცხლის ბუდე, არწივის ბუდე, ჩანჩქერები და სხვ.

ჩატარებულ იქნა საუბრები შემდეგ თემებზე: 1) როგორ უნდა ვცხოვრობდეთ ბანაკად (ბავშვების გაცნობა ბანაკური ცხოვრების დღის წესრიგთან, დისციპლინასთან და სხვ.). 2) პიონერების კანონებზე და ჩვეულებებზე, 3) ავიაცია-ქიმიამზე — „თავდაცვის კვირასთან“ დაკავშირებით, 4) ათონის ად-

გალმდებარეობაზე და იშვიათობებზე. 5) შეუკავშირებელ ბავშვებს შორის მუშაობაზე და 6) წითელი აზიის ცხოვრებაზე.

ყოველდღე ტარდებოდა სხვადასხვა თანაშობასიმღერები; დასწავლილ იქნა რამდენიმე ახალი სიმღერა: „ავიო—მარში“, „კომკავშირელებთან ერთად“ და სხვა.

ჩატარებულ იქნა პატარა თვითშემოქმედების საღამო ბანაკში, რომელსაც დაესწრო ათონის პიონერების კოლექტივი და „რამკომხოზის“ კოლექტივი.

გამოშვებულ იქნა ერთი კედლის გაზეთი, რომელშიაც ბავშვებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. შეკრებილ იქნა მწერების და ფოთლების კოლექცია (ახალი ათონის ბუნებასთან გაცნობა), ზოგიერთი პიონერებისაგან დახატულ იქნა სხვადასხვა სურათები (ექსკურსიების შედეგები), ზოგიერთი პიონერები


ადვენდენ დღიურებს, სადაც სწერდენ ბანაკალ მუშაობის შესახებ ყოველდღე.

საერთო დღიური ბანაკად არსებობს. ბანაკის საბჭოს ბოლო სხდომაზე წამოყენებულ იქნა ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის საკითხი.

ბანაკის მუშაობაში აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი დადებითი მხარეები:

მთელი მუშაობა ბანაკში სრულდებოდა დავალებების პრინციპით რგოლებში. ტარდებოდა პრაქტიკული მუშაობა (კავშირი კომკავშირთან, პროფკავშირთან, წითელ არმიასთან), წესიერი განაწილება და ჩატარება ბანაკის შინა მუშაობისა, პიონერების გამოჯანსაღება ბანაკად (ყოველდღიური ბანაკობანი, მზის ვანები, დილის ვარჯიშობანი).

ასეთი ბანაკის მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს და საგრძნობი სარგებლობის მოტანა შეუძლია.



ქ. ტფილისი. ჩკინისგზის საყუდის კოლექტივის პიონერები ემზადებიან პიონერ-ორგანიზაციის საკავშირო შემოწმებისათვის.



# ჩვენ მტრები

თითქმის ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, გარდა ბავშთა კომუნისტური ჯგუფებისა, არსებობენ ბურჟუაზიული ბავშთა ორგანიზაციები.

ისინი ხასიათის მიხედვით შეიძლება გავყოთ ოთხ ჯგუფად:

1. ფაშისტური,
2. სკაუტების,
3. სოციალ-დემოკრატიული,
4. ნეიტრალური.

ბავშთა ფაშისტური ჯგუფები წმინდა სახით არსებობენ მხოლოდ ერთ ქვეყანაში—იტალიაში. მას ეწოდება „ბალილა“. ის იმყოფება ფაშისტური პარტიის მფარველობის და ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ ჯგუფში ითვლება 250 ათასზე მეტი ბავშვი.

„ბალილას“ წესდებაში არის ნათქვამი, რომ ბავშვები, რომლებიც შედიან ამ ორგანიზაციაში, „ემსახურებიან ოჯახს, სამშობლოს და ღმერთს“.

„ბალილას“ ჯგუფის წევრები პირნათლად ასრულებენ თავიანთი წესდების ამ მუხლს; ისინი ყოველნაირად ხელს უწყობენ და ეხმარებიან ფაშისტურ პარტიას თავდასხმაში და მკვლელობაში, მონაწილეობენ ფაშისტურ დემონსტრაციებში, ერთი სიტყვით, ისინი ყოველგვარად ეხმარებიან თავიანთ უფროსებს პროლეტარულ-კომუნისტური ორგანიზაციების განადგურებაში.

გაცილებით უფრო მკაფაღრიცხოვანი, რთული და საყურადღებოა სკაუტების ორგანიზაცია. „ბალილა“ აღმოცენდა მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ, სკაუტიზმი კი ჩაისახა ჯერ კიდევ 1907 წელს და თითქმის ქვეყნიერების ყველა ნაწილში გავრცელდა.

სკაუტების ორგანიზაციის წევრი სულ მთელ ქვეყნიერებაზე დაახლოებით სამი მილიონი იქნება; მხოლოდ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი წევრების რაოდენობა მილიონ ნახევარამდის აღის.

ინგლისურად სკაუტი ნიშნავს მხვერავს. სკაუტის ორგანიზაცია ცდილობს აღზარდოს თავის წევრთაგან „მეფის, უფროსების, მშობლების, სამშობლოს და ბატონების ერთგული მოსამსახურეები“. ორგანიზაციის თვითეული წევრი ყოველგვარ პირობებში უნდა იცავდეს მათ მტრებისაგან. ეს გარკვევით არის ნათქვამი მათ წესდებაში.

კიდევ უფრო პირდაპირ და სწორედ რომ ვთქვათ, ბურჟუაზიას სურს სკაუტებისაგან აღზარდოს თავისი ერთგული მიმდევრები, რომლებიც და-

იცვენ ბურჟუაზიას და მის ექსპლოატატორულ ხელისუფლებას. ამ მიზნის მისახვევად ბურჟუაზია არავითარ საშვალეებს არ ზოგავს, ის აუარებელ თანხას ხარჯავს ამ ორგანიზაციაში მომუშავეებზე.

ეს ორგანიზაცია უქადაგებს და უსისინებს ბავშვებს, რომ მათ შეიძულონ კომუნისტები, რადგანაც ისინი იბრძვიან მშრომელთა გასათავისუფლებლად.


**ბავშთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები** უმთავრესად ავსტრიაში, გერმანიაში და ჩეხია-სლოვაკიაში განვითარდა.

ამ ჯგუფებს ხელმძღვანელობს სოციალ დემოკრატიული პარტია, ის პარტია, რომელიც ბურჟუაზიის ერთგულ ფინიას წარმოადგენს, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მუშათა კლასის გასათავისუფლებლად არა აჯანყების მოწყობით, არამედ „შვიდობიანი გზით“,—არაა საჭირო გაფიცვა, არაა საჭირო ბრძოლა,—ეუბნებიან სოციალ-დემოკრატები მუშებს. არაა საჭირო რევოლუციის ძალით მოხდენა, ის მისით მოვა აი სოციალ-დემოკრატიის ღოზუნგი.

ასეთი თვალსაზრისით არის გამსჭვალული ბავშთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების წესდებაც. მაგალითად, ამ წესდებაში არის ნათქვამი, რომ ამ ორგანიზაციის წევრი მზადაა დაეხმაროს ყველას (ე. ი. ბურჟუაზიასაც და მუშებსაც), რომ ის პატივს ცემს ყველას აზრებს და მიზნებს (ე. ი. ბურჟუაზიისასაც და მუშებისასაც). როგორია ასეთი შეხედულების შედეგი?—კაპიტალისტებს აქვთ უფლება დაჩაგრონ მუშები, როგორც მათ მოესურვებათ.

ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა ბავშთა ფიზიკური დასჯა სკოლებში, რაც მეტად ფართდაა გავრცელებული ბურჟუაზიულ სკოლებში, სიტყვის ამოღების უფლებასაც კი არ აძლევს სოციალ-დემოკრატიული პარტია ბავშთა ჯგუფებს.

დაბოლოს, ზოგიერთ ქვეყანაში არის ეგრეთ-წოდებული ბავშთა **ნეიტრალური** ორგანიზაციები: სპორტიული, მუსიკალური და სხვ. ამ ორგანიზაციათა წესდებაში არის ნათქვამი, რომ ისინი არავითარ პოლიტიკურ მიზნებს არ ისახევენ, რომ მათში ბავშვები შედიან მხოლოდ იმისათვის, რომ ფიზიკურად განვითარდნენ, შეისწავლონ მუსიკა, გაერთონ და მხიარულად გაატარონ დრო. მაგრამ სინამდვილეში ეს მოსახრებები მხოლოდ საფარველია მათთვის: ამ გზით, საშაშობით და სპორტით, ბურჟუაზია აშორებს ბავშვებს პოლიტიკას, ზრდის მათ-



გან თავის მომავალ მფარველებს და პასიურ (უმოქმედო) მონებს. მაშ, გამოდის, რომ ეს ორგანიზაცია მეტად პოლიტიკურია და ძლიერ მავნებელი მუშათა ხალხისათვის.

საერთოდ ჩვენს მოწინააღმდეგე ბავშთა ორგანიზაციებში არის ოთხ მილიონზე მეტი ბავში. ისინი უმეტესად მსხვილი, საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის შვილები არიან. მათში არის აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშათა ბავშვების, მაგრამ ეს უკანასკნელნი შეცდომით, მოტყუებით და სხვა ათასგვარი ხერხით არიან ჩათრეული ხსენებულ ორგანიზაციებში.

ასეთ პირობებში საზღვარგარეელი ბავშთა ჯგუფების ამოცანაა — მტერთა ბანაკში მყოფი მუშათა ბავშვები გამოაფხიზლონ, წაიყვანონ ისინი სწორი გზით, ჩამოაშარონ ისინი გამყიდველ და მატყუარა ხელმძღვანელებს, რომლებსაც ისინი ბურჟუაზიულ სასაკლავოზე მიჰყავთ. ენერგიული და დაფიქრებული მუშაობით საზღვარგარეთის ბავშთა კომუნისტური ჯგუფები ამას უსათუოდ შესძლებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ გზაზე დიდი დაბრკოლებები შეხვდება ბურჟუაზიის და მისი მიმყოლი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრივ.

### რ ა ლ ი მ \*

როგორც თქვენ ხედავთ, ტალღების ნიშნების გადაცემისთვის (სიგნალიზაციისთვის) აუცილებელია სამი რამ; თქვენ უნდა გქონდეთ ტალღების გამგზავნი ხელსაწყო, გქონდეთ შუაბიჯა არე, რომელშიაც ისინი გადაიცემიან, და, ბოლოს, ტალღების გამომჟღავნებელი რაიმე საშუალება, როცა ეს უკანასკნელები მოდის.

ახლა შევადაროთ რადიო-სადგურების მიერ გაგზავნილი ნიშნები ურთიერთობის სხვა თანწყობის ნიშნებს, რომლებიც იყენებენ ტალღებს. როცა ჩვენ გზის აქეთა მხარედან ველაპარაკებით გზის მეორე მხარეზე მყოფ ვისმე, ჩვენ ნამდვილად გვაქვს ტალღების გამგზავნი ხელსაწყო — ადამიანის ხორხი და პირი; გვაქვს არე, რომლითაც ტალღები მოგზაურობს, სახელდობ ჰაერი, და, ბოლოს, ჩვენ გვაქვს ტალღების დამჭერი ხელსაწყო, სახელდობ მსმენელის ყურები. ტალღები ჰაერში რამოდენიმედ ჰგვანან ტბის ზედაპირის ტალღებს, ხოლო ისინი უჩინარი არიან: ჩვენ სრულებით ვერაფერს ვერ ვხედავთ. ესევე შეიძლება ვთქვათ რადიო-ტალღების შესახებაც: სრულებით არაფერი არ სჩანს, და საჭიროა გქონდესთ განსაკუთრებული ელკისური ხელსაწყოები ამ ტალღების აღმოსაჩენად, რომლებსაც უჩინრად და უხმაუროდ შეუძლიათ გაიარონ სივრცეში.

ბგერა თითქმის ყოველთვის ტარდება ჰაერში, და ჩვენ რომ მოგვეშორებინა ორ მოლსპარაკე ადამიანს შორის მყოფი ჰაერის ფენა, მაშინ ლაპარაკის განგრძობა შეუძლებელი შეიქნებოდა. სრულებით უბრალო ამისი დამამტკიცებელი მაგალითია შემდეგი: ელექტრო-ზარის ათავსებენ უჰაერო სივრცეში და ზარის ბგერა მაშინ არ ისმის.

ახლა განვიხილოთ ნიშანთა მიცემის სხვა ხერხი: ელექტრო-მაშუქით სინათლე შეიძლება ავანთოთ და გავაქროთ იმგვარად, რომ სინათლის შუქ-სხივი ჩნდებოდეს ხანმოკლედ, ან ხანგრძლივად. ნიშნების მიცემა მორზეს კოდით შეიძლება აქ წარმოებდეს დენის ჩართვით და გამოთიშვით, რომლის დროსაც მოკლე მიმოხანი აღნიშნავს წერტილს, გრძელი კი ხაზს. ამ ხერხით შესაძლებელია ნიშნების გადაცემა მრავალი კილომეტრის მანძილზე.

რა საშუალებით მოგზაურობს სინათლე ერთი ადგილიდან მეორემდის? საერთოდ მიღებული მოსაზრება ამბობს, რომ სინათლე მოდის ტალღების სახით, „ეთერად“ წოდებული არეს საშუალებით; ეთერი, როგორც ფიქრობენ, ავებს მთელ მსოფლიოს. ეს ტალღები გადიან ეთერში რამოდენიმედ იმგვარადვე, როგორც ბგერა ვრცელდება ჰაერის საშუალებით და ციმციმი კი წყლის ზედაპირის საშუალებით.

უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ, რამდენადაც სინათლე გადაიცემა თავის განსაკუთრებულ, ეთერად წოდებულ, არეს საშუალებით, რომელიც, როგორც ფიქრობენ, უხილავი ნივთიერებაა, ყველაფერში შემხწყვი და თავისი არსებით ყველაფრისა და ყოველივეს აღმვსებელი (რომლის შესახებაც ძალიან ცოტა რამ ვიცით), მაშინ აქ ჰაერი აწავითარ აუცილებლობას არ შეიცავს. ჩვენ ვამბობთ, ბგერათა ტალღები გადიან ჰაერში, მაგრამ არ აღძრავენ ტალღებს ეთერშიო. და როცა ჩვენ ნიშნებს ვაძლევთ სინათლის ტალღებით, მაშინ ისინი წარმოშობენ ტალღებს მხოლოდ ეთერში, ჰაერში კი არა. ამიტომ, ჩვენ კიდევაც რომ მოგვეშორებინა მთელი ჰაერი, მაინც შევძლებდით განგვეგრძო სინათლის

\*) დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 14.

ნიშნების მიცემა. მზის სინათლე მოგზაურობს მსოფლიოს სრულებით უჰაერო, ყოველ ნივთიერებას მოკლებულ, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ვრცელ სივრცეში.

ენახოთ ახლა, რით განირჩევიან ელექტრომაგნიტური ტალღები ბგერათა და სინათლის ტალღებისაგან და რომელი არეს საშუალებით გადაიცემიან ისინი?

მათი გადამცემა არე — ეს იგივე სასწაულებრივი, ყველაფერში შემხწყევი ეთერია, რომელზედაც ჩვენ ასე ცოტა ვიცით და ერთადერთი დიდი განსხვავება ელექტრომაგნიტურ და სინათლის ტალღებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ რადიო-ტალღებს აქვთ დიდი სიგრძე და ამასთანავე უნარი გადალახონ ბევრად უფრო მეტი დაბრკოლება, ვიდრე სინათლის ტალღებს.

**სინათლის ტალღების შედარება ელექტრომაგნიტურ ტალღებთან.**

ბგერათა ტალღებს აქვთ 150 სანტიმეტრამდე სიგრძე. მათ შეუძლიათ გვერდი აუქციონ გზაში შეხვედრილ საგნებს და რამდენიმედ გავიდენ კიდევაც მათში, მაგრამ ისინი მეტად სწრაფად შთაინთქმებიან და ნიშნების მიცემა მათი დახმარებით შესაძლოა მხოლოდ მოკლე მანძილზე. მეორეს მხრივ, სინათლის ტალღებს შეუძლიათ გაიარონ საგრძნობი სივრცე, მაგრამ ისინი ვერ გადიან გაუმჭვირვალ საგნებში. თუ ჩვენ ავწევთ მალლა მინის ნაქერს და გავხედავთ მზეს, მაშინ სინათლის ტალღები გაივლიან მინაში, მაგრამ თუ ჩვენ ჩენი თვალებისა და სინათლის წყაროს შორის დავიჭერთ წიგნს, მაშინ სინათლე ვერ გაახწყეს მასში, მაშასადამე, სინათლის ტალღებს აქვთ ის ნაკლი, რომ მათ არ შეუძლიათ გავიდენ მაგარ ნივთიერებათა უმეტესობაში.

ელექტრომაგნიტური ტალღები მიდიან ბევრად უფრო დიდ მანძილზე და არამცთუ უვლიან გვერდს შეხვედრილ დაბრკოლებებს და გადიან მათზე, არამედ ცნობილ ზომამდე კიდევაც გადიან მათში. როცა ჩვენ ცნობილი მიმართულებით ვუშვებთ სინათლის სხივს და მას გზაში ხედება სახლი, მაშინ სახლის მეორე მხარეს მყოფი ადამიანი ვერაფერს დაინახავს. და თუ ჩვენ შევცვლით სინათლის წყაროს რადიო-სადგურით, მაშინ მისი ტალღები აუვლიან სახლს გვერდიდანაც და ზემოდანაც და გაივლიან შიგაც, ასე რომ სახლის მეორე მხარეზე მყოფი ადამიანი შესძლებს მიიღოს გავზავნილი ნიშნები.

**აზრი გამოთქმისა „ტალღის სიგრძე“.**

როგორც სინათლის ტალღები, იმგვარადვე ელექტრომაგნიტური ტალღებიც მიჰქრებიან ეთერში სრულებით. ერთგვარი სისწრაფით, გადიან დაახლოებით 300.000 კილომეტრს წამში. მაშ რაში მდგომარეობს ამ ტალღების თვისებათა განსხვავების მიზეზი?

მიზეზი აი რაშია:

სინათლის ტალღები ძლიერ მოკლებია, ელექტრომაგნიტური კი ძლიერ გრძელი. რა გვინდა ჩვენ ვთქვათ, როცა ვლაპარაკობთ ტალღის სიგრძეზე? ჩვენ ამ შემთხვევაში გვაქვს მანძილი ორი მეზობელი, ერთიმეორეზე მიმდევნო, ტალღის ზედაპირთა შორის. როცა ჩვენ ჩავაგდებთ ტბაში ქვას და გავზომავთ იქ წარმოშობილ ტალღებს, მაშინ დავინახავთ, რომ, თუმცა ტალღები თანდათან სუსტდებიან, მაგრამ მანძილი ერთი ტალღის ზედაპირსა ანუ ზურგსა და მიმდევნო ტალღის ზურგს შორის ყოველთვის ერთიდაიგივე რჩება.

სრულებით ამგვარსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე ბგერისა, სინათლისა და ელექტრომაგნიტური ტალღების დროსაც. თვითველ ამ სამი ხარისხის ტალღას აქვს განსხვავებული სიგრძე. საშუალო სიგრძე ბგერის ტალღისა არის დაახლოებით 150 სანტიმეტრი, რის დროსაც მაღალი ხმა წარმოშობს უფრო მოკლე ტალღებს, ვიდრე დაბალი.

სწორედ ამგვარადვე სინათლის ტალღების საშუალო სიგრძე უდრის დაახლოებით მილიმეტრის 1/2500 (0,4 მიკრონი), მაგრამ ის მერყევია ფერის მიხედვით.

ასე, მაგალითად, იისფერ ტალღას აქვს 0,00038 მილიმეტრი სიგრძე, წითელს კი — 0,00065 მილიმეტრი. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ბგერათა ტალღების და სინათლის ტალღების სიგრძეს აქვს დიდი მნიშვნელობა: 1-ლ შემთხვევაში მისგანაა დამოკიდებული ბგერის სიმაღლე, მეორეში კი — ფერი.

ამ საყურადღებო მნიშვნელობის გამო, შესაძლებელია, სასარგებლო იქნეს ვთქვათ კიდევ რამოდენიმე სიტყვა თერმინის „ტალღის სიგრძე“-ს მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენ რომ შეგვეძლოს დანახვა ჰაერში მიმქროლავ ბგერათა ტალღებისა, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენ ვხედავთ წყლის ციმციმს ტბაზე, მაშინ ადვილად შეგვეძლო გაზომვა მანძილისა ერთი ტალღის ზურგიდან მეორე მეზობელი ტალღის ზურგამდე; მაგრამ, ვინაიდან ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას დავინახოთ თვალთ ეს მანძილი, ამიტომ ბგე-

რის ტალღის სიგრძის შესახებ ჩვენ უნდა ვიძახე-  
ლოთ ჩვენ მიერ გაგონილი ბგერის მიხედვით.

რასაკვირველია, არსებობს სპეციალური სამე-  
ცნიერო ხელსაწყოები სხვადასხვა ბგერათა ტალღების  
სიგრძის გასაზომად, სწორედ ისევე, როგორც არსე-  
ბობს ხელსაწყოები სინათლისა და ელექტრომაგნი-  
ტური ტალღების სიგრძის გასაზომად. მე მინდა ხაზ-  
გასმით მიგიითითოთ თქვენ ტალღათა სიგრძის უდი-  
დეს მნიშვნელობაზე. რადიო-გადაცემისათვის გა-  
მოყენებულ ტალღებს აქვთ სიგრძე 20 მეტრიდან  
24,500 მეტრამდე.

მაგალითად, ყველა გემის რადიო-სადგურები  
მუშაობს 600 მეტრის სიგრძის ტალღებით, ტრანს-  
ატლანტიკის სადგურების ტალღათა სიგრძე კი უდ-  
რის 10.000-დან 25,000-მდე მეტრს, საერთოდ რომ  
ვთქვათ, უფრო გრძელი ტალღები იხმარებიან დიდ  
მანძილზე მომუშავე მაღალი სიმძლავრის სადგურებ-  
ზე, რადგან დაკვირვებებიდან დამტკიცებულია, რომ  
გრძელი ტალღები ვრცელდებიან სივრცეში უფრო  
კარგად, ვიდრე მოკლეები.

როგორ იგზავნებიან და რა გზით შეგვიძლია აღ-  
მოვაჩინოთ ელექტრომაგნიტური ტალღები.

ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ბგერის ტალღა სა-  
სტვენში ჩაბერვით. არსებითად სასტვენი იქნება გა-  
დამცემი სადგური ბგერათა ტალღებისა და მიმღე-  
ბი კი იქნება ადამიანის ყური. თუ ნიშნებს ვა-  
ძლევთ სინათლის ტალღებით, მაშინ გადამცემი სა-  
დგურის ნაცვლად ჩვენ შეგვიძლია ვიხმაროთ ელე-  
ქტრონის ლამფა, მიმღები კი იქნება თვალი. მაგ-  
რამ, როცა ჩვენ ვვინდა გადავცეთ ელექტრომაგნი-  
ტური ტალღები, მაშინ ჩვენ ვერ ვპოულობთ ვე-  
რავითარ ბუნებრივ სახსარს ამისათვის; ამგვარადვე,  
ადამიანის არც ერთ გრძნობათაგანს არ შეუძლია  
გაგვიწიოს სამსახური, როგორც მიმღებმა ან დედექ-  
ტორმა.

როდესაც თქვენ მიდიხართ ქუჩაზე, რადიო-  
ტალღები გადის თქვენს მახლობლად და თქვენშიაც,  
მაგრამ თქვენ ვერაფერს ვერ ხედავთ, არც გეხმისთ  
და ვერც გრძნობთ. ეს იმიტომ, რომ ადამიანის  
სხეული არაა მომარჯვებული ამ ელექტრო მაგნი-  
ტურ ტალღათა მისაღებად და ეს უსათუოდ დიდი  
ბედნიერებაა ჩვენთვის: წინააღმდეგ შემთხვევაში მთე-  
ლი ჩვენი არსება გარდაიქმნებოდა მუდმივ უბედუ-  
რების არედ დღე-ღამე ჩვენს მახლობლად გამვლელ  
ათას რადიო-ცნობათა მეოხებით.



პიონერები უსმენენ რადიოს.



# სამხედრო კუთხე

## მოსახლეობის გასამხედროება საზღვარგარეთ.

„მშვიდობიანობისმოყვარე“ ინგლისმა, როგორც ვი-  
ცით, ომამდე არ იცოდა **სავალდებულო სამხედრო ბე-  
გარა**. ამის მაგივრად ბრიტანეთის ხელმძღვანელებმა აირ-  
ჩიეს სისტემა, რომელიც საჭირო დროს თოფის ქვეშ და-  
აყენებდა ერთ მილიონ მშვენივრად გაწვრთნილ ახალგა-  
ზრდას, რომელთა დიდი ნაწილიც გამოსადეგი იყო საკო-  
მანდო თანამდებობაზე. ეგრეთწოდებული „ბოი-სკაუტები“,  
„ახალგაზრდათა ბრიგადები“, „კადეტების კორპუსი“ და  
„ოფიცრების მომამზადებელი კორპუსები“—აი მთავარი  
ორგანიზაციები, რომელთა განაც ბრიტანეთის მთავრობა  
დაიშვებოდა მიიღოს უმცროს და საშუალო კომშემად-  
გენლობის თითქმის განუსაზღვრელი მარჩაფა.

საკმარისია ითქვას, რომ ომის წინ მილიტარიზაცია  
ქმნილი ინგლისის ახალგაზრდობა შეადგენდა 251 როტის  
14. 399 კაცი, ხოლო სამი წლის შემდეგ (იმპერიალის-  
ტური ომის გათავების შემდეგ) ეს როტები გამრავლდა  
2. 318 139—119, 706 მონაწილით და მარტო „ოფიც-  
რების მომამზადებელ კორპუსში 1922 წელს იყო 35000 კაცი.  
ინგლისის ბოი-სკაუტის ათ მცნებაში არის მცნება  
„მეფისადმი და... სამეფაოს მომცემისადმი თავდადება“.

ცხადია, ეს მხოლოდ წვეთია იმ კლასიური შხამის,  
რომლითაც ბრიტანეთის ბურჟუაზია სისტემატიურად სწამ-  
ლავს თავის ახალგაზრდა დამცველებს, „ეროვნულ-პატ-  
რიოტული აღზრდის“ სახით.

ამაზე ცუდად არაა ეს საქმე ამერიკაშიც.  
აქ 1924 წ. „ოფიცრების მომამზადებელი კორპუსი“  
შესდგებოდა 101.129 ადამიანისგან, ხოლო „მოსახლეო-  
ბის გასამხედროების კურსებზე“ ამავე წელს იყო—34,000  
ოფიცერი და 274.000 მოხალისე. 1925 წ. 125 უნივერსი-  
ტეტში 125 ათასი სტუდენტი ოფიცრებად ემზადებოდა. აქ  
არ ვთვლით უამრავ საშუალო სკოლას სავალდებულო, ნახევ-  
რად სავალდებულო და თავისებებით სამხედრო სწავლით.  
ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს გა-  
დააქარბა საფრანგეთმა.

„ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის“ კანონის თა-  
ნახნად, უშუალოდ დაკავშირებული მწვევადელთა მომზა-  
დებების მიხედვითან საფრანგეთის მთელი მოსახლეობა, გა-  
ნურჩევლად სქესისა, ჩათრეულია სპეციალურ სამხედრო  
გადამზავებაში, 4 წლის ასაკიდან. კანონი ითვალისწი-  
ნებს სამ საასაკო ჯგუფს: 4—13, 13—18 და 18—30 წე-  
ლი. 4 წლის ბავშვები ჩათრეული არიან ფიზიკურ ვარ-  
ჯიშობაში, რომ მომავალში სახელმწიფოს ჰყავდეს „კარ-  
გა ჯარისკაცები“. გათვალისწინებულია საბავშვო თამაშო-  
ბათა 46 და სპორტის 3 სახე. 13 წლიდან „ფიზიკურ აღ-

ზრდაში“ შეტანილია ისეთი საგნებიც, როგორც სროლა,  
ყუმბარების სროლა, ტყვიამფრქვეველების და ზარბაზნე-  
ბის ხმარება, გაცნობა ჯავშნიანი მანქანების და სხვ. 1925  
წელს საფრანგეთში ითვლებოდა 9.000 გასამხედროებუ-  
ლი სკოლა და მილიტარიზაციაქმნილი ახალგაზრდობის  
8.000 კავშირი.

ბუნებრივია, რომ ფაშისმის სამშობლოსაც—**იტალიას**  
—არ სურს ჩამორჩეს საფრანგეთს აქ მწვევადელთა მომზა-  
დება სწარმოებს ორგანიზაცია „ბალილას“ მიერ, სადაც  
შედიან 8—21 წ. ასაკის ბავშვები და ახალგაზრდები. უფ-  
როსი ასაკი ასრულებს სამხედრო მომზადებას.

ფაშისტური მილიციის რიგებში, რომელსაც უკვე  
თავისი დაარსების წელს (1925 წ.) ჰყავდა 75.000 კაცი,  
ახალგაზრდა ფაშისტების უკანასკნელმა გაწვევამ შეჰკრიბა  
18.000 მეტი ახალგაზრდა.


**პოლონეთი** სუბსიდიას აძლევს გასამხედროებელი  
ახალგაზრდობის ნახევარმილიონიან „არმიას“, რომლიდა-  
ნაც 300.000 შედის „მსროლელთა კავშირში“, 100.000-  
მდე „გარცერებში“ (პოლონეთის სკაუტები) და 60.000 —  
„შევარდენში“. ამ რიცხვში არაა შეტანილი მრავალ-  
რიცხოვანი წვრილი ორგანიზაცია და საზოგადოება, რო-  
გორცაა „კოლონისტების სამხედრო კავშირი“ და სხვ.

პატარა **ფინლანდია** 30.000-იანი მულმივი არმიის  
გვერდით ინახავს ნახევრად სამხედრო ორგანიზაციას „ში-  
უტკორ“ (110.000 კაცი) და 40.000-იან ქალთა სამხედ-  
რო დამხმარე კორპუსს, ეგრეთწოდებულ „ლოტტა სვი-  
არდს“.

ყველა ამ ორგანიზაციის კლასიური ბუნება არ იწ-  
ვევს შეეჭვებას: იტალიის ახალგაზრდა ფაშისტების შავი  
ხალათის, ინგლისელი „კადეტების“ მწვანე ფრენჩის, პო-  
ლონელი „მსროლელის“ რუხი ხალათის და ფინელი „შიუტ-  
კორისტის“ ნაცრისფერი მუნდირის ქვეშ ფეთქავს პროლე-  
ტარული რევოლუციის მიმართ ერთგვარად სამტროდ გან-  
ყობილი ბურჟუაზიული გული. ჩვენი ისტორიული მოვა-  
ლეობაა ყველა ეს მხედველობაში მივიღოთ და გასამხედ-  
როებულ ფაშისტურ ახალგაზრდობას დაეუბირდაპირდეთ  
**ს. ს. რ. კ. გასამხედროებელი ახალგაზრდობით.**

ძირს რეაქცია და ფაშისმი!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშური ახალგაზრდო-  
ბის შეურყეველ ბრძოლას კაპიტალისა და ომის საშიშ-  
როების წინააღმდეგ, ბრძოლას პროლეტარული რევოლ-  
უციისათვის, საბჭოთა კავშირის დაცვისათვის, პროლეტა-  
რიატის დიქტატურისათვის.



# თაქობანი

## კალიასთან ბრძოლა.

## ტრაქტორები

**მოთამაშეთა რიცხვი:** 20-დან 100-მდე.

**მოთამაშეთა რიცხვი:** 3-დან 100-მდე.

**სათამაშო ადგილი:** მოედანი, მინდორი, დიდი დარბაზი.

**სათამაშო ადგილი:** მოედანი, მინდორი, დარბაზი.

**მოწყობილობა თამაშობისთვის:** პატარა დროშები, პატარა პალოები, ხის შტოები.

**მოთამაშეთა განაწილება:** შუა მინდორზე იხაზება კვადრატი, რომლის გვერდი უდრის 1-2 მეტრს. მოთამაშენი იყოფიან 3, 4, 5 და მეტ ჯგუფად. იქერენ ადგილს კვადრატში, თვ-თეული ჯგუფი ცალკე, ერთ რიგად (ერთმანეთისკენ), და აწყობენ ხელებს წინ მდგომი ამხანაგების მხრებზე. თითოეული კუთხის მოთამაშენი წარმოადგენენ ტრაქტორებს; ტრაქტორები სხვადასხვა სისტემისაა. ყოველი ჯგუფის წინ 10-15 მეტრის დაშორებით სდებენ რომელიმე საგანს.

**მოთამაშეთა განაწილება:** მოედნის ორივე თავში გაჰყავთ ხაზები 2-3 მეტრის დაშორებით საზღვრიდან. ერთ თავში თავსდება მოთამაშეები, რომელნიც წარმოადგენენ კალიას, მეორე თავში თავსდება გლეხები. მოედანი იყოფა შუაში ხაზით. ამ შუა ხაზზე ჩაისობა პალოები ან პატარა დროშები ერთნაირი ზომისა. ეს ნივთები წარმოადგენენ მოსავალს. მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან: ერთი წარმოადგენს კალიას, ხოლო მეორე გლეხებს. პალოების რიცხვი უნდა უდრიდეს გლეხთა რიცხვს.

**თამაშის აღწერა:** წინამძღოლის ნიშანზე ყოველი ჯგუფის მოთამაშენი ერთმანეთისაგან დაუცილებლად (ე. ი. ხელები ისევ მხრებზე რჩებათ) მირბიან საგნისაკენ. წინ მდგომი იღებს საგანს, მობრუნდებიან და მირბიან თავისი ადგილისაკენ. ამით თამაში თავდება. საუკეთესო სისტემის ტრაქტორად ითვლება ის, რომელიც პირველად დაიკავებს თავის ადგილს, ე. ი. უფრო ადრე დახნავს მიწას.

**თამაშის აღწერა:** წინამძღოლის ნიშანზე გლეხები და კალია ერთსდამიხვევ დროს მირბიან შუა ხაზისკენ. ჯგუფები ცდილობენ გადასწრონ ერთმანეთს. გლეხები ცდილობენ გადაარჩინონ მოსავალი კალიისაგან იმით, რომ კალიას მოსვლამდე წაავლონ ხელი ნივთებს, ამოაძრონ და გაიქცენ შინისკენ.

**თამაშის წესები:** 1. ტრაქტორები გამორბიან მხოლოდ ნიშნის მიცემის შემდეგ.

კალიას სურს მოსავლის გაფუჭება და გაფრენა, ე. ი. ჩასობილი ნივთების ამოძრობა და შინისაკენ გაქცევა.

2. ის ტრაქტორი, რომელიც გაწყდება გზაში, დაბრუნების დროს ისევ უნდა გადაებას და განაგრძოს სვლა.

გლეხი ნივთით ხელში მისდევს კალიას და დაღვს მას. დადალული კალია უბრუნებს ნივთს იმ გლეხს, რომელმაც ის დადალა, და ბრუნდება თავის ხაზზე. ამის შემდეგ წარმოებს ნივთების დათვლა ორივე ჯგუფის მიერ. იგებს ის ჯგუფი, რომელსაც მეტი ნივთი აღმოაჩნდება.

## საბჭოთა კავშირო, გვიშველე.

**თამაშის წესები:** 1. თუ ნივთს ხელი მოჰკიდა გლეხმაც და კალიამაც—ნივთი კალიას რჩება.


ყველა ნაც. უმცირესობათა თვალყურით მიპყრობილია საბჭოთა კავშირზე და რეაქციის დროს მოუწოდებენ მას დახმარების გასაწევად.

2. კალია არ დაღვს გლეხებს, ხოლო გარბის ნივთით ხელში.

**მოთამაშეთა რიცხვი:** 100 კაცამდე.

**სათამაშო ადგილი:** დარბაზი, მოედანი.

**მოთამაშეთა განაწილება:** მოთამაშეები დაღვებიან ოთხ-ოთხი, გამართული მკლავების სიშორე-



ზე ერთი-მეორესგან და ხელი-ხელჩაკიდებულნი; ისინი წინასწარ რამოდენიმეჯერ მობრუნდებიან ერთ ადგილზე (წინამძღოლის მიერ ნიშნის მოკცემით) რომელიმე მიმართულებით და ისევ სწრაფად ჰკიდებენ ერთმანეთს ხელებს მობრუნების დროს. ამნაირად ყოველი მობრუნების შემდეგ გამოიკვლევა დერეფანი მოთამაშეთა შორის.

წინამძღოლები სდგებიან კუთხეებში დიაგონალის სისწორეზე.

**თამაზის აღწერა:** მოთამაშეები იყოფიან ორ თანასწორ ნაწილად. წარმოვიდგინოთ, რომ წინა ნაწილი იქნება საბჭოთა კავშირი, უკანა — ერთა ლიგა. თამაზის დაწყებამდე როგორც საბჭოთა კავშირი, ისე ერთა ლიგა გამოჰყოფენ თითო წინამძღოლს. საბჭოთა კავშირის წინამძღოლი დგება ოთხკუთხედის წინა მარცხენა კუთხეში და არქმევს თავის თავს რომელიმე ეროვნების სახელს, რომელსაც ერთა ლიგა ჩაგრავს; მაგალითად: ბესარაბია, რუმინია, ბელორუსია, პოლონეთი, რუსეთი, გერმანია და სხვა. ერთა ლიგის მოთამაშეები დგებიან დიაგონალის სისწორეზე მარჯვენა კუთხის უკან. საბჭოთა კავშირის და ერთა ლიგის მოთამაშეები დგებიან წყებ-წყებად პერპენდიკულიარის სისწორეზე ერთიმეორესადმი და ხელი-ხელჩაკიდებულნი. დაძახილზე „საბჭოთა კავშირო, გვიშველე“ საბჭოთა კავშიარი მობრუნდება მარცხნივ; მოთამაშეთა მეორე ნახევრის ძახილზე: „ერთა ლიგა, გვიშველე“ ისინი მობრუნდებიან მარჯვნივ.

ყოველი მოთამაშე ლაბირინტებში სირბილის დროს თავის ტერიტორიაზე სდევნის, ხოლო სხვის ტერიტორიაზე ვარბის; თუ მოთამაშე რწყვილმა ვერ შესძლო სამი წუთის განმავლობაში ერთმანეთის დადაღვა, იმ შემთხვევაში მათ სცვლის შემდეგი რწყვილი. ის რწყვილი, რომელიც გაათავებს თამაზს, სდგება ახალ წინამძღოლებად.

თუ სამი წუთის განმავლობაში ერთმა რწყვილმა დადაღა მეორე, გამარჯვებულს ემატება ერთი ნიშანი. როდესაც ყველა რწყვილი თითოჯერ ჩაატარებს თამაზს, ხდება ნიშნების გადათვლა. იგებს ის მხარე, რომელსაც მეტი ნიშანი აღმოაჩნდება.

1. წინამძღოლებს ეკრძალებათ:
  - ა) ხელების გათიშვა.
  - ბ) ხელების ქვეშ შეძრომა;
  - გ) დადაღვა ხელების იქეთ, თუნდაც ისინი იდგენ ხელების ხაზის გადაღმა.
  - გ) ლაბირინტის საზღვრებთან გაქცევა სამი ფეხის ნაბიჯზე უფრო შორს გვერდზე მდგომი მოთამაშეებიდან.

2. გვერდის ხაზებიდან სამი ფეხის ნაბიჯის იქეთ დადაღული მოთამაშე არ ითვლება დადაღულად, ხოლო დადაღულს აჯარიმებენ ერთი ნიშნით.

3. მობრუნება ხდება მხოლოდ საშველებლად მოწოდების შემდეგ.

4. არ შეიძლება თავის ნებაზე მობრუნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრთხე ელოდა გადაარჩენილ ანხანაგებს.

5. ყოველი გამარჯვება, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის, ინიშნება ერთი ნიშნით და თამაზის გათავების შემდეგ ხდება ნიშნების გადათვლა.

6. მხარე, რომელიც მეტს ნიშანს მიიღებს, იგებს თამაზს.

**შენიშვნა ა)** მწყრივებში უნდა იქნეს მოთამაშეთა თანასწორი რიცხვი; ამას ემატება 2-3 წინამძღოლი, რომელნიც წინამძღოლობენ მორიგეობით.

ბ) უტრადდება უნდა მიექცეს, რომ გაქცეულის მაგიერ სხვა მოთამაშეებმა არ დაიძახონ „გვიშველე“;

გ) მანძილი მოთამაშეთა შორის განიზომება არა სრულებით გაქიმული ხელებით.

**თამაზის ვარიანტები:** ამ თამაზში შეიძლება შემოკლების და გართულების შეტანა მოთამაშეთა შემადგენლობის მიხედვით.

ეს თამაზი გულისხმობს საშუალო ღონის მოთამაშეებს.

**თამაზის გამარტივება შეიძლება ა)** ამა თუ იმ ნახევრის დაწყებით და მობრუნებით ერთი მიმართულებით;

ბ) მხოლოდ ერთი წინამძღოლის არჩევით ორივე ნახევრის მიერ.

**თამაზის გართულება შეიძლება:** წინამძღოლთა 2-3 რწყვილის არჩევით და სხვა.

**შენიშვნა:** ამ თამაზში საჭიროა ყოველთვის მწყრივების სისწორის დაცვა.

გამოდის 1927 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო და საზღვარსაღარო

ქურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ქურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანიზაციის ეოველი კოლექტივის, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბა კამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1927 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

ელსმენი — 23 — 16

რედაქტორი — სარკელაქიო კოლაგია.